პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგაზეთო საბჭოთა

ს. ს. ს. რ.
იუსტიციის
ოფიციალური
ორგანო

№ 24

15 დეკემბერი
1928

## შინაარსი

ი. ტალახაძე—ათი წლის თავზე.

ბ. ივლევი – სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალების ათი წლის თავი და მათი მორიგი ამოცანები.

ვ. თავართქილაძე— სამხედრო ტრიბუნალის 10 წლის თავი.

ს. ტერ-გრიგორიანი—რ. ს. ფ. ს. რ. იუსტიციის მუშაკთა მომავალ ყრილობისათვის.

ი. კაციტაძე—დამცველთა კოლეგიის შესახებ.

მოკვლევის საკითხები.

დ. მირიანაშვილი—სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალები (გაგრძელება).

სასამართლო და ცხოვრება.

თ. შავიშვილი.—სასამართლოს აღმასრულებელთა აპარატის რაციონალიზაციის შესახებ (გაგრძელება).

პრაქტიკოსის შენიშვნები

გ. ქილიფთარი. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლოს აღმას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე და მესამე პირნი აღწერილ ქონებას არ ღებულობენ შესანახად.?

იურიდიული დახმარება

კანონმდებლობის მიმოხილვა

ოფიციალური ნაწილი

# მიღება ხელისმოწერა

ჟურნალ „საბჭოთა სამართალზე“

1929 წლის 1 იანვრიდან 1930 წ. იანვრამდე

**ჟურნალი** გამოდის ახალი ფორმატითა და შინაარსით

**ჟურნალში** ითანამშრომლებენ საუკეთესო მეცნიერული და პრაქტიკული სასამართლოს მუშაკები.

ჟურნალი გააშუქებს სასამართლო-უფლებრივ ხასიათის ყოველგვარ საკითხებს და დაეხმარება იუსტიციის, საბჭოთა და პროფესიონალურ ხაზით მომუშავეებს.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 10 მან. ექვსი თვით 5 მ. და 50 კ. სამი თვით 3 მ. სამ თვეზე ნაკლები ხელის მოწერა არ მიიღება.

# საბჭოთა სამართალი“-ს რედაქცია

## აცხადებს

სამაზრო სასამართლოების, სამაზრო მილიციების სამმართველოების და პერსონალურ ხელისმოწერლებს საყურადღებოდ (როგორც ადგილობრივ აგრეთვე მაზრებში),

*რომ საჭიროა* **30** *დეკემბრამდე შემოტანონ მათზე დარჩენილი დავალიანება.*

ხელისმომწერლებს მოვაგონებთ, რომ საჭიროა ჟურნალზე ხელისმოწერის განახლება, 1929 წლისათ

34(05)
Ь13.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა საქართველო

რედაქციის და კანცელარის მისამართი:
ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32
ტელ. № 10—51

ხელისმომწერის ფასი:
წლიურად—10 მან.
6 თვით—5 მან. 50 კაპ.
3 თვით—3 მან.
1 ნომერი 50 კაპ.

№ 24 | 15 დეკემბერი 1928 წ. | № 24

## ათი წლის თავზე.

შესრულდა ათი წელი პირველ სამხედრო ტრიბუნალის დაარსების დღიდან.

კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში შეიქმნა და გამაგრდა წითელ არმიის რიგები. ჩვენ მტრებს პირველად არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო წითელი არმიის შექმნა, ხოლო შექმნის შემდეგ კი მათ არ სწამდათ წითელი არმიის ძლიერება და დისციპლინა, მაგრამ წითელმა არმიამ ჩქარა დაარწმუნა მოწინააღმდეგენი თავის ძლიერებაში. ის მედგრად ანადგურებდა კონტრ-რევოლიუციის რიგებს. მაშინ მტრებმა ჩვეულებრივ ოინს მიმართეს. მათ მიზნათ დაისახეს წითელი არმიის დაშლა შიგნიდან. ამ მიზნით ისინი ახერხებდნენ წითელ არმიის რიგებში თავის აგენტების და მოსყიდულ პირთა შეყვანას—განსაკუთრებით უფროსთა შემადგენლობიდან. და მართლაც ამ გზით ბევრჯერ შესძლეს ღალატის მოწყობა. მაგრამ პროლეტარიატი უფრო მომწიფებული გამოდგა ვიდრე ეს ბურჟუაზიას წარმოედგინა. თავის დროზე იქმნენ შექმნილი დაცვისათვის აუცილებელი სასამართლო-დამსჯელი ორგანოები. ერთ-ერთი ამ ორგანოთაგანი იყო სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი. მან ღირსეულად შეასრულა თავისი რევოლიუციონური ამოცანა. ის მკაცრად სჯიდა პროლეტარული საქმის მოღალატეებს.

რევოლიუცია უსისხლოთ არ ხდება. რევოლიუციონერის სიბრძნე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სისხლი მიზანშეწონილად და მომჭირნეობით იქნეს დაღვრილი, რომ რევოლიუციის დამსჯელი ხელი მხოლოდ შეურიგებელ-საშიშ მტრებს ანადგურებდეს.

ეს რევოლიუციონური სიბრძნე სამხედრო რევოლიუციონურმა ტრიბუნალებმა თავის დაბადების პირველსავე დღიდან შეითვისეს.

დეე, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ იყვიროს ჩვენი სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალების სისასტიკეზე და თვალი აიხვიოს საფრანგეთის ბურჟუაზიული დიდი რევოლიუციის სამხედრო ტრიბუნალების და რუსეთის, გერმანეთის და ჩინეთის კონტრ-რევოლიუციის სამხედრო-საველე სასამართლოების ტერორზე, რომელთა განაჩენების 90 % სიკვდილით დასჯა შეადგენდა. სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალები გაცილებით უფრო ჰუმანიურად სჯიდნენ. იმათ პირველად შემოიღეს ისეთი ჰუმანიური სასჯელი, როგორიც არის საშიში მტრის მოთავსება საკონცენტრაციო ლაგერში სამოქალაქო ომის დამთავრებამდე. ეს ბრძნული საშუალება აუცილებელი თავდაცვისა პირველად ისტორიაში შემოღებულია საბჭოთა ტრიბუნალების მიერ.

დეე, იყეფონ ბურჟუაზიის ძაღლებმა და მოსყიდულმა კალმოსნებმა სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის სიმკაცრეზე, მათ ღირსეულად შეასრულეს თავისი რევოლიუციონური მოვალეობა—მოღალატეების და გამცემლების დასჯა—ხალხთა ძმობისა და სოციალიზმისათვის.

ი. ტალახაძე.

## სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალების ათი წლის თავი და მათი მოკრიბი ამოცანები.

„რევოლიუციონური სამხედრო ტრიბუნალები იქმნებოდნენ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის იარაღი წითელ არმიაში.

„თავისი რევოლიუციონური სამუშაო მათ ბრწყინვალეთ შეასრულეს. რევოლიუციის ისტორია საერთოდ და წითელარმიისა კერძოთ ამას არ დაივიწყებს“.

კ რ ი ლ ე ნ კ ო.

12 დეკემბერს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო ტრიბუნალები ზეიმობენ თავის არსებობის **ათი წლის თავს.**

რევოლიუციონური სამხედრო ტრიბუნალები შექმნილი იყვნენ იმ მომენტში, როდესაც წითელი არმია სამოქალაქო ომის მრავალრიცხოვან ფრონტებზე ასრულებდა პროლეტერულ სახელმწიფოს დაცვის დიად საქმეს.

ტრიბუნალები სასტიკად სჯიდნენ ფრონტისა და ზურგის კონტრ-რევოლიუციას, იცავდენ წითელი არმიის ძლიერებას და ბრძოლის-უნარიანობას, მტკიცედ იდგნენ რევოლიუციონური დისციპლინის სადარაჯოზე და წითელ არმიასთან ერთად, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, განვლეს მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვების ისტორიული გზა.

წითელი არმიის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს თავისი ქვეყნის შინაურ და გარეშე მტრებთან, ტრიბუნალების მუშაობა გაჟღენთილი იყო რევოლიუციის მტრებისადმი კლასიური ზიზღით, უსაზღვრო ენერგიით და შეურყეველ ლტოლვით გამარჯვებისაკენ.

კლასიური ხაზის გარკვეულობა და სიზუსტე მუშაობაში, ჩქარი და გადამწყვეტი სასამართლო ზედგავლენა, ერთგულობა და თავგანწირვა პროლეტარული რევოლიუციისათვის, აი ის ღირსეული ტრადიციები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს აღსრულება ტრიბუნალების ხვედრ ამოცანებისა სამოქალაქო ომის დროს და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის საქმეში.

შესვენების პერიოდმა, რომელმაც უზრუნველჰყო მშვიდობიანი განვითარება და გაწვრთნა წითელი არმიისა, შეიტანა არსებითი ცვლილებანი ტრიბუნალების მუშაობასა და მეთოდებში. საგანგებო სასამართლოებიდან, მკაცრ და ულმობლათ დამსჯელ ორგანოებიდან, ისინი გადაიქცენ ნამდვილ იარაღათ იმისათვის, რომ წითელ არმიის რიგებში შეიტანონ კლასიურ ბრძოლისათვის საჭირო დისციპლინა და სიმტკიცე.

ტრიბუნალები რჩებიან უცვლელად პროლეტარიატის დიქტატურის იარაღად. ისინი ებრძვიან სოციალურად საშიშ მოვლენებს წითელ არმიაში, და ხელს უწყობენ მასში რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას.

**ათი წლის თავს სამხედრო ტრიბუნალები** უქმობენ საერთაშორისო და შინაგან მდგომარეობის მეტათ გართულებულ პირობებში. საბჭოთა კავშირზე ახალი თავდასხმის საშიშროება, გაძლიერებული წინააღმდეგობა კაპიტალისტური ელემენტებისა ქვეყნის შიგნით, და ორგანიზაცია ქმნილი შეტევა მათზედ ქალაქში და სოფლად, საბჭოთა კავშირის დაცვის უხარიანობის გაძლიერება კულტურული რევოლიუციის პრობლემის სწორი გადაწყვეტა,—რომელიც მოითხოვს ფართე მასების პოლიტიკური აღზრდისათვის მუშაობის გაშლას—აი ის სიძნელენი, რომელნიც სდგანან სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

ეს გართულებული მდგომარეობა სამხედრო ტრიბუნალების წინაშე სამ ძირითად ამოცანას გამოჰყოფს.

ა) გააძლიერონ ტემპი წითელი არმიის დისციპლინისა და ბრძოლის უნარიანობისა. სწრაფი და გადამწყვეტი პასუხი გასცენ, როგორც ისეთ დანაშაულზე, რომელიც მიმართულია პროლეტარული ხელმძღვანელობის კლასიური არსის წინააღმდეგ, აგრეთვე ისეთზე, რომელიც რევოლიუციონურ მოვალეობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ბ) გაითვალისწინონ ყოველწლიურად წითელ არმიის რიგებში შემავალ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ძირითადი მასის შეგნებისა და პოლიტიკური სიმწიფის ზრდა და ამის მიხედვით გააძლიერონ აღმზრდელობითი წესის ელემენტები თავის მუშაობაში. ფართეთ გამოიყენონ საზოგადოებრივი აზრი უარყოფით მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ) სამოქალაქო ომის დროს შექმნილ ტრადიციების გამაგრებასა და დაცვასთან ერთად, იმუშაონ თავისი ძემადგენლობის სამხედრო პოლიტიკური აღზრდის მიმართულებით. იმუშაონ აგრეთვე თავისი აპარატის გაუმჯობესებისა და მობილიზაციურ სამზადისზე სამხედრო საჭიროების შემთხვევისათვის.

წითელ არმიის პოლიტორგანოების, აგრეთვე თავის გამოცდილ და ავტორიტეტულ ბელადის—საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ხელმძღვანელობით, სარდლობასთან და რესპუბლიკანურ იუსტიციის და პოლიტ-დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში, მთელ საკომანდო შემადგენლობის და წითელ არმიელთა ფართე დახმარებით, სამხედრო ტრიბუნალები შესძლებენ წარმატებით დასძლიონ წითელ არმიის დისციპლინის და ბრძოლის უნარიანობის გამაგრების ამოცანა მასში რევოლიუციონური კანონიერების ჩანერგვის გზით.

**ბ. იევლევი.**

## სამხედრო ტრიბუნალის 10 წლის თავი.

„Пусть кричат, что мы не реформируя старый суд, сразу отдали его на слом".

ЛЕНИН. (XV том ст. 81).

10 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მ. გ. წ. არმიაში მოეწყო სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალები. განვლილ ათი წლის მანძილზე ამ პროლეტარიატის კლასიურ ორგანომ, უკვე საპატიო ადგილი დაიჭირა ოქტომბრის რევოლიუციის მტრებთან სახელოვან ბრძოლის ისტორიაში.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ შესძლო დაემსხვრია ძველი სასამართლო ძველ წყობილებასთან ერთად. მანამდე თებერვლის რევოლიუციას, არც კერენსკის რუსეთში და არც ჟორდანიას საქართველოში, ხელი არ უხლიათ მეფის სასამართლოებისათვის. როგორც თვითმპყრობელობის დროს, ისე მენშევიკების დროსაც სამხედრო სასამართლოებში განაგრძობენ ჯდომას მეფის ჟენერლები და პოლკოვნიკები, მძინვარებდა სამხედრო სამელე სასამართლო. პოლკოვნიკ. ლექვინაძის თავმჯდომარეობით, ფაშისტური ოფიცრები ანადგურებდენ საქართველოს მუშების და გლეხების რევოლიუციონურ ნაწილს, ნიკოლოზის და მისი პაპის 1869 წლის სისხლის ამართლის კანონებით. ამას ცხადათ ადასტურებს მენშევიკური მთავრობის სამხედრო მინისტრის არქივი და ავხ. **ფ. მახარაძე** თავის წიგნში **„მენშევიკების პარტიის დიქტატურა საქართველოში"**, სადაც ის მოგვითხრობს, რომ მას და ყველა დუშეთის აჯანყებაში მონაწილეთ მენშევიკებმა წაუყენეს 100 და 101 მუხლები 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებისა. თუ ამას მიუმატებთ გამეფებულ ტერორს და ცოცხლად დაწვის ფაქტებს (ივანოვი და მარდალეიშვილი) ყველასათვის აშკარა და ნათელი იქნება თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური სასამართლო ეგრედწოდებულ „დემოკრატიზმის სამოთხეში".

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ აღგავა ერთხელ და სამუდამოდ მიწის პირიდან ეს მონობის და ჩაგვრის ორგანოები, და მის ნანგრევებზე პროლეტარიატმა შექმნა თავისი საკუთარი პროლეტარული, კლასიური ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განო, სახალხო და სამხედრო რევოლიუციონური სასამართლოები.

სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალები პირველ ხანებში, მძიმე სამოქალაქო ომის პირობების მიერ ნაკარნახები—სტიქიურად წარმოიშვენ, ხოლო მალე ოფიციალურად დადასტურებული იქნენ რესპუბლიკის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს ბრძანებით, 1918 წლის 14 ოქტომბერს. ამ რიგად სამოქალაქო ომის უაღრესად გამწვავების მომენტში სამოქმედო ასპარეზე გამოვიდა ეს პროლეტარიატის საიმედო ორგანო და მიუხედავათ იმისა, რომ პირველ ხანებში მას არ ჰქონდა საკმაო პრაქტიკა და გამოცდილება, ის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა, როგორც არმიის შიგნით შეპარულ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, ისე მის გარეშე ყოველგვარი ბანდიტების, ჯაშუშების, მფლანგველების, კონტრრევოლიუციონერების და ოქტომბრის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ.

საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის დაარსებასთან დაკავშირებით იქნა დაარსებული ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი 1922 წლის 22 დეკემბერს. 1924 წელს დეკემბერში ის გადაკეთებული იქნა მე-II-ე კატეგორიის კორპუსის ტრიბუნალად. ხოლო ამ ჟამად ის, 1926 წელს ოქტომბრიდან ითვლება ქართულ დივიზიების, მშვიდობიან დროის სამხედრო ტრიბუნალად. ქართულ ტრიბუნალის დაარსების დროს კ. წ. დ. არმიის სამხედრო ტრიბუნალს, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ მუშაობას უკვე ჰქონდა ოთხი წლის სამოქალაქო ომის მდიდარი პრაქტიკა და გამოცდილება, ამიტომ ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალისთვის ეს მუშაობა აღარ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს.

საკასაციო ინსტანციას ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალისათვის 1926 წლამდე წარმომდგენდა ს. ს. ს. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლო, ხოლო შემდეგ ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგია, თანახმად ს. ს. რ. კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ „დებულებისა სამხედრო ტრიბუნალებზე და სამხედრო პროკურატურაზე“, ნათქვამია **„სამხედრო ტრიბუნალების მშვიდობიან და ომიანობის დროის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა ევალება ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას“**-ო. ამას მოითხოვდა წითელ არმიის მთლიანობის პრინციპები, ვინაიდან ყველასათვის აშკარაა და ნათელია რომ წითელი არმია წარმოადგენს ერთ მთლიან ინტერნაციონალურ ბრძოლის ერთეულს, ერთ მთლიან მუშტს ერთი სამხედრო რევოლიუციონური შტაბის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო სამხედრო ტრიბუნალი, უშუალო ორგანოა სამხედრო სარდლობის და სამხედრო რევოლიუციონური საბჭოსი, რომ ამ მთლიანი პოლიტიკის და ხელმძღვანელობის გარეშე მდგარიყო დიდი გაუგებრობა იქნებოდა.

ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალი თავის არსებობის ამ მოკლე ხნის განმავლობაში ატარებდა მტკიცე კლასიურ ხაზს და მტკიცედ იდგა რევოლიუციის სადარაჯოზე. მან ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი მუწუკი მოჰკვეთა ქართულ დივიზიის შემადგენლობის და საქართველოს მუშათა კლასის ჯანსაღ სხეულს.

მომავალშიაც ქართულ დივიზიების ტრიბუნალის ამოცანას შეადგენს მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში პარტიის მიერ დასმული ყველა ამოცანები და ლენინის ანდერძი ცხადია, რომ პროლეტარიატის დიქტატურას და სოციალიზმის მშენებლობის საქმეს ბლომად ჰყავს შინაური და გარეშე გაუსწორებელი მტრები, რომელნიც ფართოდ ისარგებლებდნენ ჩვენი სამეურნეო და სამრეწველო ფრონტზე ყოველგვარი სიძნელეებით და შეეცდებიან დაბრკოლებათა პროვოკაციულ სპეკულიაციას. ამ შემთხვევაში ჩვენს სამხედრო ტრიბუნალს კარგად ახსოვს ლენინის ანდერძი: „მენშევიზმის საჯარო მტკიცებისათვის ჩვენი რევოლიუციონური სასამართლოები უნდა ხვრეტდენ, წინააღმდეგ შემთხვევებში ის ჩვენი სასამართლო კი არა ღმერთმა უწყის რა იქნებაო“. ლენინი რევოლიუციონურ სასამართლოზე უდიდეს იმედებს ამყარებდა, როდესაც ამბობდა: „სასამართლო არის ღარიბების საყოველთაო მიმზიდველი სახელმწიფო მართვა გამგეობაში, რომ სასამართლო არის იარაღი პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის, რომ სასამართლო არის იარაღი დისციპლინალურად აღზრდისათვის“-ო. (ტომი XV გვ. 216) ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალი თავის ყოველდღიური და მტკიცე კლასიური საქმიანობით შესძლებს ილიჩის ამ ანდერძის შესრულებას.

დღეს სამხედრო ტრიბუნალის არსებობის ათი წლის თავზე ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალი მხურვალე სალამს უძღვნის თავის უფროს ძმებს: კ. წ. დ. არმიის და მოძმე რესპუბლიკების სამხედრო ტრიბუნალებს და უსურვებს მათ ბრწყინვალე გამარჯვებას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალის

თავმჯდომარე **ვ. თავართქილაძე.**

---

## რ. ს. ფ. ს. რ. იუსტიციის მუშაკთა მომავალ ყრილობისათვის.

საბჭოთა კავშირის თერთმეტი წლის მშენებლობამ გარკვეულად დაგვანახვა, რომ საბჭოთა კანონმდებლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს მაში, რომ კანონი ცხოვრებას თანა სდევს. ის კი არ მიჩანჩალებს საზოგადოებრივ მოვლენათა კუდში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეფურ მთავრობის დროს, და როგორც ხდება ეხლაც მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენი კანონმდებლობა ცხოვრებას წინ უსწრებს.

შეუწყვეტლივ მუშავდება იურიდიული აზროვნება, უკეთდება ჯამი წარსულ ნაშრომს და ირკვევა მომავლის სქემები. უფლებრივი მშენებლობა მიიმართება ნორმალურ ტემპით და საზოგადოებრივ ცხოვრების ახალი ფორმები მაშინათვე პოულობენ თავის გამოხატულებას სათანადო დისციპლინებში.

გამოდის რა ამ დებულებებიდან, რ. ს. ფ. ს. რ-ის იუსტიციის სახ. კ-ტის კოლეგია 1929 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში აპირებს პროკურატურის, სასამართლოსა და საგამომძიებლო დარგში მომუშავეთა ყრილობის მოწვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშურ გლეხურ ინსპექციის მიერ მოხდენილ მთელ რიგ სასამართლოს აპარატის მოკვლევებმა, უკანასკნელ წლების გამოცდილებამ და მე XV პარტიულ ყრილობაზე სასამართლოს კრიტიკამ საბჭოთა იუსტიციის წინ დააყენეს პრინციპიალური საკითხების მთელი რიგი, რომელიც უნდა გახდეს ყრილობის მსჯელობის საგნად. კოლეგიის მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი თეზისებისა, რომელთა შესახებაც წინასწარი მსჯელობა უნდა იქონიოს ზოგიერთ საგუბერნიო პროკურორების და სასამართლოების თავმჯდომარეების თათბირმა და აგრეთვე სამ ავტონომიურ რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კ-ბმა. ყრილობა შეაჯამებს იუსტ. სახ. კ-ების მიერ ჩატარებულ მუშაობას, აღნიშნავს მის ნაკლს და ცხოვრების მომწიფებულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით მისცემს დირექტივებს საბჭოთა სამართლისა და კანონმდებლობის განვითარებისათვის.

ამასთანავე ყრილობის მსჯელობის საგნად გახდებიან აგრეთვე ჩვენი პენიტენციალური და დამსჯელ პოლიტიკის საკითხები და განზრახულია მთელი სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის რეფორმა. კოლეგიის ცნობებით გამსახლები ავსებულია მოლოდინ ვადიან ტუსაღებით, რაც ყოველთვის არ არის გამოწვეული ასეთ სოციალურ ღონისძიების აუცილებლობით მით უმეტეს, როდესაც არსებობს ისეთი ღონისძიება, როგორც იძულებითი მუშაობა და ჯარიმა.

საპატიმრო სახლები არა სდგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე პატიმრების სათანადოთ გასწორების მხრივ და ამასთანავე არ არსებობს მჭიდრო კავშირი იმ სასამართლოსთან, რომელსაც გამოაქვს განაჩენი. ამის გამო განზრახულია პენიტენციალურ საქმის ხელში იუსტიციის ორგანოების გადაცემა, რომელნიც ამის შემდეგ პასუხისმგებელნი იქნებიან, როგორც დადებულ მსჯავრის სისწორისა, აგრეთვე, მსჯავრდადებულთა გამოსწორების მხრივ.

ამ ჟამად დავას იწვევს სასამართლოს მიერ მისჯილ სოციალურ დაცვის და ჩადენილი ბოროტმოქმედების თანაბრიანობის პრინციპი. გამოთქმულია აზრი (კრილენკო, ბრანდენბურგსკი), რომ სასამართლომ უნდა გამოიტანოს გაურკვეველი განაჩენი (მაგალითად 3—5 წლამდე), რომელიც დაუტოვებს მოქმედების ფართო ასპარეზს იმ ორგანოებს, რომელიც ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მსჯავრ დადებულის ცხოვრებას და ყოფა ქცევას და ამასთანავე უკანასკნელი შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს ადრე თუ გვიან დამოკიდებულად იმისგან, თუ რამდენად შეეტყობა მას გასწორება და შრომის შეჩვევა. ამასთანავე ისმება საკითხი სოციალურად მავნე ბოროტმოქმედთა შესახებ, რომელთაც იმ შემთხვევაში თუ შეეტყოთ სასამართლოს მიერ დადებულ ვადის განმავლობაში აშკარა გამოუსწორებლობა, შეიძლება, ზემოთ მოყვანილ ავტორების აზრით, მიუსაჯოთ დამატებითი თავისუფლების აღკვეთა ან გადასახლება, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტებს.

ამ უკანასკნელ ხანებში დისკუსიის საგანს შეადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამარტივების საკითხები, რომლის შესახებაც კოლეგია დამუშავებულ პროექტით გამოვა ყრილობაზე.

პროექტის ძირითადი აზრია—მშრომელ მასებს დაუახლოვოს კოდექსი და გაამარტივოს იგი ბრალდებულის უფლებების გარანტიის მაქსიმუმამდე დაყვანით.

უზენაესი სასამართლო ყრილობაზე გააკეთებს მოხსენებას სამოქალაქო სამ. კოდექსის და საპროცესო კოდექსის ნორმების პრაქტიკულად გამოყენების შესახებ.

აი ნუსხა იმ აზრებისა და საკითხების, რომელნიც გახდებიან იუსტიციის მუშაკთა მსჯელობის საგნად ყრილობაზე.

წარმოდგენილი დებულებები ემყარებიან გამოცდილების დასკვნებს და ჰგულისხმობენ საკმაოდ მტკიცე ნიადაგს, რაც საბჭოთა უფლებრივ მშენებლობაში წინ გადადგმულ ნაბიჯების მაჩვენებელია.

**დამც. კ. წ. ს. ტერ-გრიგორიანი.**

## დამცველთა კოლეგიის შესახებ.*)

თითქმის ერთი წელიწადია რაც დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციაზე იწერება. ამ საკითხზე გამოითქვა სხვა დასხვა აზრი. ყველა წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ არსებულ ფორმებში დამცველების მუშაობა შეუძლებელია, რომ დამცველთა კოლეგიის წევრები ვერ ამართლებენ იმ დანიშნულებას, რომელსაც ისინი უნდა ემსახუროს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა დამცველ გამოდის პროცესში მოსამართლეთა უმრავლესობა სცდილობს, რომ დამცველის ანკესზე არ წამოეგოს. დამცველმა არ მოატყუილოს. იშვიათია, რომ მოსამართლე დამცველს ენდოს და იფიქროს, რომ ის მოეხმარება პროცესში.

სამოქ. საპ. კოდ. 8-მუხლს არღვევს მეტი წილი დამცველებისა, რომელიც არ იყენებს საპროცესო უფლებებს სინდისიერად. ასე რომ დამცველთა კოლეგია ვერ ამართლებს მის დანიშნულებას. ამიტომ აუცილებლად უნდა მოხდეს მისი რეორგანიზაცია და ძველი ორგანიზაციის ნანგრევებზე უნდა აშენდეს მუშათა და გლეხთა საბჭოების პრინციპების მიხედვით ახალი კოლექტივი. დამცველი იმისთვის გვინდა რომ, დაჩაგრულ მხარეს და სასამართლოს, მოეხმაროს ჭეშმარიტების გამორკვევაში. იმ ნიადაგზე უნდა დავაყენოთ ეს ორგანიზაცია, რომ დამცველმა დაიმსახუროს სასამართლოს და მშრომელების ნდობა. ეს თუ არ მოხდა, ასეთ პირობებში როგორც დღესაა, შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

ჩვენ გვინდა შეძლებისდაგვარად კაპიტონ ბაქრაძის მიერ წამოყენებულ წინადადების ზოგიერთ მუხლებზე უპასუხოთ: 1) როგორ მოგვარდება მომხმარებლების დამცველის ამორჩევაზე გემოსურვილის საკითხი? აქ ჩვენ უპასუხებთ, რომ კოლექტივის გამგეობის პასუხისმგებლობის ქვეშ საქმის მიხედვით კლიენტს დამცველი უნდა დაენიშნოს; 2) კოლექტივის გამგეობა აგებს პასუხს თუ არა ამ რიგათ მიწოდებული დამცველის ვარგისობაზე? კო-

*) დისკუსიის წესით.

ლექტივის გამგეობა აგებს პასუხს, მათ უნდა დამცველი მისცენ საქმესთან შეფარდებით; 3) როგორ ავიცილოთ შაბლონიურად დანიშნულ დამცველთა დაცვის მოსალოდნელობა? აუცილებლად დამცველი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და დამცველის მუშაობის შეფასება შეიძლება უზენაესსა და სახ. სასამართლოების მიერ იმ მხრივ თუ როგორ მიუძღვებიან ისინი საქმეებს, და ის, ვინც ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, უნდა მოიხსნას დამცველობიდან; 4) ცენტრალური თუ უბან უბან უნდა იქნეს კოლექტივის გამგეობა? რასაკვირველია ცენტრალური უნდა იქნეს იგი ქალაქებში; 5) მიიღებიან თუ არა კოლექტივში იურისკონსულტები? მიიღებიან როგორც წევრები, ხოლო კერძო საქმის დაცვის ნება არ უნდა მიეცეს, რადგან მათი ვალია დაწესებულებას ემსახურონ, რისთვისაც იგინი იღებენ შესაფერ ჯილდოს; 6) როგორ მოგვარდება დაცვის მიწოდების სისწრაფე? კლიენტმა ან სასამართლომ პირველის თხოვნით უნდა მიმართოს კოლექტივის გამგეობას და უკანასკნელმა ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ იცოდეს, რომელი დამცველი სადაა, და სწრაფად უნდა დაუნიშნოს იგი მთხოვნელს; 7) რამდენ კატეგორიათ დაიყოფა დამცველთა კადრი? ჩვენის აზრით უნდა დაიყოს სამ კატეგორიათ. პირველს მიეკუთვნოს მაგარი კვალიფიკაციის მცოდნე დამცველები, მეორეს—ნაწილობრივ სუსტი, და მესამეს სუსტი დამცველები და მათი ცოდნის—შრომის საქმის მიხედვით განაწილდეს შრომის ხელფასი; 8) ვისი „კრიტერიუმი" შეაფასებს ამა თუ იმ დაცვას? დამცველი ვალდებული უნდა იყოს ოფიციალური საბუთი წარმოადგინოს სასამართლოდან საქმის დამთავრების შემდეგ, რის მიხედვით კოლექტივის გამგეობამ უნდა შეაფასოს დამცველის შრომა. გამგეობის კრებაზე, რომელიც უნდა იწვევოდეს თვეში ორჯერ; 9) ვინ დასწევს უკან ყოფილ „მაგნატს" შემდეგში ჩამორჩენილს? გამგეობა კოლექტივის რკინისებური დისციპლინით და წითელი სპეცები, ე. ი. იურისტები; 10) ვინ წასწევს წინ დაწინაურებულ დამცველს? აუცილებლად კოლექტივის გამგეობა წარსული მუშაობის მიხედვით (წარსული იგულისხმება კოლექტივის დაარსების დღიდან); 11) რა საზომით გაიზრდება ამა თუ იმ დაცვის ხელფასი? საქმის მიხედვით; 12) რა დაჯდება მთელი საქმის წარმოების შტატი და გაასწორებს თუ არა შემოსავალი შტატის გასავალს და ხელფასს? აქ მხოლოდ ვარაუდათ შეიძლება პასუხის გაცემა. შტატი უნდა შესდგებოდეს სამი პირისაგან 1) გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ყოველ დღიურ მუშაობისათვის არის პასუხისმგებელი 2) საქმის მწარმოებელი და 3) მოანგარიშე. ამას შეიძლება დავაკლოთ, (თუ გაჭირვება იქნება) მხოლოდ მოანგარიშე ან საქმის მწარმოებელი და ის, ვინც ამ ორიდან დარჩება, შეასრულებს ორივე მოვალეობას; სალარო კი თავმჯდომარის ხელში უნდა იყოს. ასეთი შტატის შენახვა არ გაუჭირდება გამგეობას; 13) არის თუ არა პერსპექტივები დამცველებს საშუალო ხელფასით მაინც დაკმაყოფილებისა? აუცილებლად არის იმედი საშუალო ხელფასით დაკმაყოფილებსა. შეიძლება მეტითაც თუ მივიღებთ მხედველობაში, იმას თუ დღეს როგორი შემოსავალი აქვთ მათ.

კომისიის შედგენა და მისი მუშაობა ... ირგვლივ აუცილებელია რაც უნდა დაგვიჯდეს. დღეს არსებულ ფორმებში დამცველთა კოლეგიას ვერ დავსტოვებთ, ის აუცილებლად უნდა დაინგრეს და მოეწყოს სრულიად ახალ საღ პრინციპებზე დამყარებულ ფორმაში.

ი. კაციტაძე.

# მოკვლევის საკითხები

## სისხლის სამართლის დანაშაულთა კვალები [1]

### VI

### ნაფეხურების დამაგრება.

დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი საკმარისად გარკვეული შიშველა ან ჩაცმულ ფეხების კვალი უნდა იქნეს დაცული გათელისა და მოსპობისაგან ქარისა, წვიმისა, თოვლისა და სხვა ბუნებრივ მიზეზებისაგან. დასაცავად საუკეთესო კვალებს უნდა დაეფაროს ყუთები. უკეთუ წვიმს, მაშინ ზემოდან უნდა დაეფაროს კლეენკა ან ბრეზენტი. თოვლის დროს ყუთს ზემოდან უნდა წაეყაროს თოვნი, რომ კვალი ჩქარა არ გადნეს.

ვინაიდან შეუძლებელია დიდი ხნით კვალის შენახვა იმ ნიადაგზე, რომელზედაც იგი დატოვებულია და აგრეთვე შეუძლებელია მისი გამოყოფა ნიადაგიდან მთელად, ამისათვის უნდა იხმაროს ნაპოვნ კვალის აღმბეჭდის (დამაგრების) ხელოვნური ხერხი.

დროებით დაცული კვალების დამაგრება სწარმოებს შემდეგი ერთ-ერთ საშუალებით: 1) ფოტოგრაფია, 2) გადმოხატვა ქაღალდზე ან შუშაზე, 3) ტვიფარის ჩამოსხმა და 4) კვალის გაზომვა.

1) **ფეხების კვალების ფოტოგრაფიული გადმოღება.** ეს საშუალება განსაკუთრებით მისაღებია მაშინ, როდესაც ჩაჭყლეტილი კვალი ღრმა არ არის და მისგან ტვიფარის ჩამოსხმა ძნელია; აგრეთვე მაშინ, როდესაც ზედპირული კვალი მაგარ ნიადაგზეა. კვალთან ერთად გადმოიღება ზომსადარიც, ე. ი. სანტიმეტრებზე დაყოფილი ქაღალდის ზოლი, რომელიც დაიდება სურათის გადმოღების დროს კვალთან გასწვრივ. ზომსადარით გადმოღება საჭიროა, რათა შემდეგში ფოტოგრაფის მიხედვით შესაძლებელი იყოს კვალის ბუნებრივ სიდიდის შესახებ მსჯელობა. კვალის გადასაღებად ფოტოგრაფიული აპარატი უნდა მოთავსდეს ისე, რომ მისი მქრაქალი (матовое) შუშა იყოს პარალელურად იმ ზედაპირისა, რომელზედაც მოთავსებულია კვალი. ამისათვის, უკეთუ კვალი იატაკზე ან დედამიწაზეა, აპარატი უნდა მოთავსდეს საგნისით (об'ектив) ქვევით კვალის ზემოდან. ჩვეულებრივათ თუ დავსდგამთ აპარატს გვერდიდან, მივიღებთ კვალის უსწორო ნახატს.

2) **ქაღალდზე კვალის გადმოსახატავად** კვალის ზემოდან სდებენ ჩარჩოს, რომელიმე ხის კოლოფისაგან, რომელზედაც სიგძივ და სიგანეზე გაჭიმულია ძაფები ერთი მეორისაგან 1 სანტიმეტრის მანძილზე და ასევე დახაზავენ ქაღალდის ფურცელს. შემდეგ, უცქერიან რა ბა-

[1]) იხ „საბჭოთა სამართალის" № 23.

დეში კვალს, ჰხატავენ ქაღალდზე მის მოხაზულებებს კვადრატებზე.

შეიძლება აგრეთვე კვალის გადახატვა შუშაზე. ამისათვის კვალის ბოლოების მახლობლად უნდა მოთავსდეს ორი ხის ნაჭერი, ზემოდან დაეფაროს შუშა და პოხიერი (жирный) ფანქრით გარშემოევლოს კვალის მოხაზულობას.

საზოგადოთ, გადმოხატვა პრიმიტიული საშუალებაა შედარებით ფოტოგრაფიასთან და ტვიფარების ჩამოსხმასთან, ვინაიდან იგი მხოლოდ კვალის მოხაზულობას გვაძლევს.

პოხიერ ფანქრების მოსამზადებლად ხმარობენ თეთრი ცვილის (წმინდა სანთელს), ქონის ან ცერეზინის (მინერალური ცვილი) და რომელიმე მიწის საღებავის ნარევს.

მაგალითად: ყვითელი ფერის ფანქრების გასაკეთებლად საჭიროა—თეთრი ცვილი (წმინდა სანთელი, თაფლის სანთელი)—80 გრამი, ქონი—40 გრამი და 40 გრამი ფერანყვითისა. მიღებული ეს ნარევი კარგათ უნდა აიზილოს და შემდეგ მისგან ჩამოყალიბდეს ფანქრის ჯოხები.

**3. ფეხების კვალების ტვიფარების ჩამოსხმა.** უკეთუ საქმე გვაქვს სქელ ფენიან მტვერზე, ქვიშაზე, ტალახზე, თოვლზე. ფქვილზე დატოვებულ კვალებთან, მაშინ, ფოტოგრაფიის გარდა, ერთად ერთი მისაღები საშუალება კვალების აღდგენისა არის მათგან ტვიფარების ჩამოსხმა. მუშაობის დაწყებამდე უნდა ამისათვის მომზადდეს კვალი. ასე, მაგალითად, უკეთუ კვალში ჩარჩენილია წყალი, იგი სიფრთხილით უნდა ამოვაშროთ თხელი ქაღალდის ან მჩვრის შემწეობით; უკეთუ მასში ჩაყრილია კენჭები და მიწის ნამცეცები, ესეც უნდა ამოვკრიფოთ სიფრთხილით. შემდეგ კვალის კედლების გასამაგრებლად ფხვიერ ნიადაგში უნდა ვასხურეთ სადურგლო ხელოსნობაში მიღებული ლიპარი. შესხურება სწარმოებს სასხურებელით, ჩვეულებრივი პულვერიზატორით ან შეიძლება სიფრთხილით წაუსვათ ფუნჯით ან ბამბით. უკეთესია შესხურება დროგამოშვებით და როდესაც კარგათ გაშრება, მაშინ შეუდგეთ ჩამოსხმას. მომავალში ტვიფარა რომ ადვილად გამოვიღოთ კვალიდან, საჭიროა წინასწარ კვალს წაუსვათ ცხიმი, განსაკუთრებით ძროხის ან ღორის ქონი.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში მოსალოდნელია ტვიფარის ჩამოსხმა იმ კვალებიდან, რომელნიც დატოვებულია: ა) მაგარ ნიადაგზე (შავ მიწაზე, თიხანარევზე და სხვა); ბ) სველ თიხაში; გ) თოვლზე და დ) ქვიშაზე, ფქილზე, მტვერზე და სხვ.

ა) მაგარ ნიადაგზე დატოვებულ კვალის ტვიფარის ჩამოსასხმელად ხმარობენ ახლად გამომწვარ ტაბაშირის ფხვნილს (ალებასტრი). აღნიშნულ მასალის ხმარების დროს კვალი წინასწარ მომზადებას არ საჭიროებს. რადგანაც ალებასტრი სწრაფად ისრუტავს ჰაერიდან სისველეს, ამისათვის მისი შენახვა საჭიროა მშრალ ადგილას კარგათ დაცმულ განიერ ყელიან ქილაში. უკანასკნელში ჩაყრის წინ ტაბაშირი და ქილა კარგათ უნდა გამშრალდეს. უკეთუ ძნელია ან შეუძლებელია ალებასტრის შოვნა, მაშინ უნდა ავიღოთ ტაბაშირი, რომელსაც ხმარობენ სასოფლო მეურნეობაში ნიადაგის გაპოხიერებისათვის, მხოლოდ წინასწარ უნდა დაიწვას. ამისათვის ტაბაშირს დაჰყრიან რკინის ფურცელზე და დაიჭერენ ცეცხლზე, ურევენ რა მას კარგათ. საკმაოდ იქნება დამწვარი, თუ რომ მისი მცირე რაოდენობა (ჩაის კოვზის წვერზე), ჩაგდებული წყალში, რამდენიმე წუთის შემდეგ გამაგრდება.

კვალების ჩამოსასხმელად ტაბაშირის მასსა მზადდება ასე: წყლის ერთ ნაწილზე—ტაბაშარის ორი ნაწილი. ფეხის ერთ კვალს სჭირდება, დაახლოვებით წყლის $^1/_4$ ლიტრი და 80 გრამი ტაბაშირი. გაციებული ნადუღი წყალი უნდა ჩაისხას განიერ ჭურჭელში; შემდეგ თანდათანობით ჰყრიან გაცრილ ტაბაშირს იქამდე, ვიდრე წყლის ზედაპირზე შაქრის თავის სახით არ გამოჩნდება ტაბაშირი. მაშინ მარდათ უნდა აირიოს წყალი, რომ ტაბაშირმა არ მოასწროს გამაგრება და მასსაში არ გაკეთდეს ჰაერის ბურთულები, რომელნიც შემდეგში არ გაავსებენ რომელიმე ადგილებს ტვიფარში. როდესაც მასსა იქნება მომზადებული, მას თანდათანობით ჩაასხავენ კვალში კოვზის შემწეობით ფრთხილად, რომ არ გაფუჭდეს კვალი შეხებით. როდესაც ტაბაშირი დაჰფარავს კვალის ძირს დაახლოვებით 1—2 სანტიმეტრის სიმაღლეზე, მის ზემოდან სიგძივ და გარდიგარდმო სიფრთხილით დააწყობენ წინასწარ მომზადებულ სველ პატარა პრტყელ ჩხირებს ან ბაწრებს, მხოლოდ ზემოდან დაასხვენ დანარჩენ ტაბაშირს, ამოავსებენ რა მით კვალს მთელ მის სიღრმეში. ჩხირები ან ბაწრები იმისათვის არის საჭირო, რომ კვალის ტაბაშირის ტვიფარს მიეცეს მეტი სიმაგრე და კვალიდან ამოღების დროს არ გაფუჭდეს, უკეთუ კვალი საკმარისად არ არის ღრმა, მაშინ შეიძლება მის გარშემო იმავე ნიადაგიდან გაკეთდეს შემაღლება.

კარგი ტაბაშირით ჩამოსხმის აპერაცია გძელდება 10—15 წუთი. გამაგრების პროცესში ტაბაშირი ანვითარებს სითბოს. სხვათა შორის ამგვარ თვისების წყალობით დამზადება მისგან ტვიფარებისა შესაძლებელია ყინვაშიაც. მხოლოდ ძალიან დიდ ყინვაში ტაბაშირის გამაგრების დასაჩქარეალად კვალის ახლოს უნდა დაინთოს ცეცხლი, რათა კვალზე გაჩნდეს თბილი ჰაერის წევა იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა ტაბაშირის გასამაგრებლად. უკეთუ ტაბაშირი ძველია, იგი ძალიან ნელა მაგრდება, არ ანვითარებს სითბოს და იძლევა სუსტ ტვიფარებს, რომელნიც ნიადაგიდან ამოღების დროს იშლებიან.

შემდეგ ამისა, გამაგრებულ ტვიფარს ამოიღებენ ნიადაგიდან და გადაასხავენ წყალს რომ მოშორდეს მას მიწის ნაწილები. სიმტკიცისათვის ტაბაშირის ტვიფარს 20—30 წუთით სდებენ შაბის ცხელ ხსნარში, რომელიც შესდგება წყლის 5 ნაწილისაგან და შაბის ერთ ნაწილისაგან.

ტაბაშირის მაგვრად კვალების ჩამოსასხმელად ხმარობენ წმინდა სანთელს, თუმცა კრიმინალისტიკა მას მიუღებლად სთვლის პრაქტიკაში, ვინაიდან სანთლით ჩამოსხმული ტვიფარა გამაგრებისას მცირდება ზომაში.

ტაბაშირის გარდა ტვიფარის მისაღებად ხმარობენ კიდევ შემდეგ ნარევს: ტაბაშირი, სააღმშენებლო ცემენტი და მშრალი ქვიშა, აღებული თანასწორი ნაწილებით ($^1/_3$). აღნიშნულ ნარევს აყრიან კვალს ზემოდან ისე, რომ კვალზე ნარევის ფენი ერთ სანტიმეტრზე იყოს, დააფარებენ მჩვარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ შემდეგ სარწყავით მოასხამენ წყალს, ამნაირი ნარევი მისაღებია განსაკუთრებით მშრალ ნიადაგში, ვინაიდან ნოტიო ნიადაგში იგი მალე არ მაგრდება. უნდა ერიდოთ აგრეთვე თიხის ძალიან მცირე ნარევსაც, ვინაიდან მისით ცემენტი ცუდათ ეჭიდება. ამის გამო ეს ნარევი მიუღებელია აგრეთვე ნოტიო თიხნარ ნიადაგში. შეიძლება ხსენებულ ნარევის მომზადება უტაბაშიროთაც. ამისათვის ავიღებთ ცემენტის ორ ნაწილზე წონით ერთ ნაწილ ქვიშას, თიხის შეურევლად და წმინდა წყლის ნახევარ ნაწილს. ჯერ შეურევთ ცემენტს ქვიშას, მხოლოდ შემდეგ მოასხამთ წყალს. სიცივეში რომ ნარევი ჩქარა გამაგრდეს, წყალს უმატებენ საჭმლის მარილს იმდენს, რამდენიც მასში გაიხსნება.

როდესაც კვალი დატოვებულია ძალიან სველ ნიადაგზე, და ნაწილობრივ ჩამდგარია შიგ წყალი, მაშინ ტვიფარის ჩამოსხმის დაწყებამდე კვალი უნდა ამოვაშროთ იმ წესით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. შემდეგ ჩამოსხმის პროცესი იგივეა, რაც მიღებულია მაგარ ნიადაგზე აღმოჩენილ კვალების ტვიფარების ჩამოსასხმელად. საჭიროა მხოლოდ ამა თუ იმ მასალის სწორი შერჩევა.

ბ) სველ თიხაში აღმოჩენილ კვალის ტვიფარის მისაღებად ხმარობენ წმინდა სანთელს ანუ ცვილს. ცვილს იღებენ ან წმინდას, უნარევოდ ან ხისწებოსთან ნარევის სახით, რომელშიაც ცვილის 3 ნაწილზე უნდა იყოს ხისწებოს ერთი ნაწილი. ცვილს გაადნობენ ჭურჭელში და როდესაც იწყებს გაციებას გადაასხავენ კვალს, რომელზედაც წინათვე დაწყობილია ჩხირები. ცვილის გაციება შეეტყობა შემღვრევით. ცვილის მაგივრად ხმარობენ კიდე ძროხის ან ღორის გადამდნარ ქონს.

ვინაიდან საზოგადოთ ამნაირი ხერხით მიღებული ტვიფარები სამაგრეს მოკლებულნი არიან, ამისათვის საჭიროა მათგან გაკეთდეს ტაბაშირის ტვიფარი, განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო ქონისაგან გაკეთებულ ტვიფარის ამოღების დროს. უმჯობესია ტვიფარი ამოვიღოთ კვალიანათ ნიჩფით და შემდეგ უკვე მაგიდაზე სიფრთხილით მოვაშოროთ მიწა.

გ) უკეთუ კვალი აღმოჩენილია თოვლზე, მაშინ იგი წინასწარ უნდა გამაგრდეს. ამისათვის კვალზე ზედ იცრება ტაბაშირი და მხოლოდ შემდეგ, როდესაც კვალს მოეფინება ტაბაშირის ფხვნილი. ასხამენ ტაბაშირის ცივ ხსნარს; გასაციებლად, ტაბაშირის წყალში ჩაყრამდე, წყალს უმატებენ თოვლს. უკეთუ თოვლზე კვალი არ არის ღრმა, მის გარშემო კეთდება თოვლისაგან შემაღლება და მხოლოდ ამის შემდეგ სწარმოებს ჩამოსხმა.

ამას გარდა, თოვლზე დაჩენილ კვალებს ჩამოასხავენ ჩვეულებრივი სადურგლო წებოთი. ამისათვის წებოს ხარშავენ ძალიან სქლად, უფრო სქლად, ვიდრე მას ხარშავენ ხის დასაწებოებლად; შემდეგ როდესაც წებო ცოტათი გაცივდება და იწყებს გამაგრებას, მას გადაასხავენ კვალზე, რომელზედაც წინასწარ დაწყობილი უნდა იყოს სიგძივ და გარდიგარდმო ქსელის სახით თოკის ნაჯრები. წებო კვალში უფრო ადრე გაცივდება, ვიდრე თოვლი გადნება და იძლევა ძალიან კარგ ტვიფარს. ერთი ნაკლულევანება აქვს ამ საშუალებას, წებო შემდგომ მცირედ შეხმება, რის გამო ტვიფარი რამდენიმე კვალზე პატარა ხვდება,

ბოლოს, შეიძლება ვისარგებლოთ კიდევ ერთი საშუალებით თოვლზე დარჩენილ კვალების ტვიფარების მისაღებად, ამისათვის ხმარობენ მშრალ, კარგათ დამწვარ ტაბამირის ფხვნილს, არეულს საჭმელის მარილთან, რომ. ელიც აიღება 2 % მთელი ნარევისა. ამ ნარჩევს გასცრიან კვალზე, რომ მიიღონ თხელი თანაბარი შრე, მხოლოდ ზემოდან დაასხავენ ჩვეულებრივ ტაბაშირის შრეს, მომზადებულს ზემოთ ახსნილ საშვალებით. ტაბაშირის ზედა შრე შეეკვერება ქვედა შრეს და მივიღებთ ტვიფარს.

საცრის მაგვარიდ შეიძლება სარგებლობა უბრალო რკინის კოლოფის სახურავით. ამისათვის სახურავ უნდა დაიხვრიტოს კოლოფის შიგნიდან გარეთ და შემდეგ დაეხუროს კოლოფს.

ტვიფარი რომ არ იფხვნებოდეს და არ იყოს მაღალი, უკეთესია ჩამოსხმას შემდეგ ტვიფარი ჩავდოთ შაბის ან ღვინის მჟავას ხსნილში. დ) ქვიშაზე, ფქვილზე, მტვერზე და სხვ, დატოვებულ კვალებიდან ტვიფარების ჩამოსასხმელად ტაბაშირის მაგივრად ხმარობენ ქონდუმანგის მჟავას, რომელსაც მივიღებთ ქონდუმანგის (стеари) ანთლისაგან შემდეგნაირად: ქონდუმანგის სანთლებს გავადნობთ ადუღებულ სპირტში, მიღებულ ხსნილს გადავასხამთ ცივ წყალს და დაუწყებთ კარგათ არევას. ქონდუმანგის მჟავე ამოტივტივება წყლის ზედაპირზე წვრილწვრილად. შემდეგ ამოვკრიფავთ რა მას წყლიდან, ვახმობთ ოთახის ტემპერატურაში. ტვიფარის ჩამოსხმის წინ კვალი უნდა გავათბოთ ზედ მოთავსებულ ცხელი უთოთი ან რკინით და მხოლოდ ამის შემდეგ დავასხათ კვალს გამდნარი ქონდუმანგის მჟავა. მისი კვალში ჩასხმა უნდ-ვაწარმოოთ სიფრთხილით, დრო გამოშვებით იქამდეა ვიდრე კვალი არ მოიფინება ქონდუმანგის მჟავოთ 3-4 სანტიმეტრის სიმაღლემდე. ტვიფარის გასამაგრებლად საჭიროა დაახლოებათ $^1/_2$ საათი მაინც.

შეიძლება ვისარგებლოთ მეორე ხერხით. ზედ კვალზე უნდა გაფხიკოთ ქონდუმანგის სანთელი ისე, რომ ნაფხეკი თანაბრად მოეფინოს კვალს. შემდეგ ქონდუმანგის ნაფხეკის ზემოდან დავიჭერთ გახურებულ რკინის ნაჭერს ან უთოს იქამდინ, ვიდრე ქონდუმანგი არ გადნება, უკეთუ ტვიფარი გადასაგზავნია ან დიდი ხნით შესანახი, მაშინ უკეთესია მისგან გაკეთდეს ტაბაშირის ტვიფარა. შეიძლება ქონდუმანგის ფენის ზემოდან კვალში ჩავასხათ ტაბაშირის ნასსა, რომელიც ტვიფარს მისცემს მხოლოდ ტაბაშირის ტვიფარის მისაღებად საჭიროა კვალს წინასწარ ვასხუროთ გუმმილაკის სპირტის ხსნილი და, როდესაც იგი გაშრება, ჩავასხათ ტაბაშირის მასსა.

უკეთუ არც ერთი ზემოჩამოთვლილი მასალა ხელთ არ ექნება გამომკვლევ ორგანოს, შეიძლება ხმარება ფანრის საგოზელს (замаскам) უბრალო თიხის, ფქვილის და ახლად გამომცხვარ რბილ პურს ცომის. გარდა იმისა, რომ ამ მასალებით საჭიროა სიფრთხილით სარგებლობა, მიღებული ტვიფარები ძალიან უიმედონი არიან, გახმობისას სკდებიან და მოკლდებიან.

VII

**კვალების გაზომვა და შედარება.**

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სადანაშაულო ადგილზე ნაპოვნ კვალის შედარება ეჭვმიტანილის ფეხის გულთან ან ფეხსაცმელის ძირთან კვალზე მიდების საშუალებით. ამით ჩვენ არაფერს არ დავამტკიცებთ, კვალს-კი გავაფუჭებთ. უკეთუ შედარება გვჭირდება, ეჭვმიტანილს უნდა გავაკეთებინოთ ფეხით კვალი სადმე ნაპოვნ კვალის მახლობლად, იმავე ნიადაგზე და უკვე შემდეგ ორივე კვალისაგან მათი შედარებისთვის ჩამოვასხათ ერთ-ერთი აღნიშნული საშუალებით ტვიფარი. უკეთუ კვალი ზედაპირულია, მაგალითად იატაკზე, მაშინ ეჭვმიტანილის ფეხის კვალის მისაღებად უნდა მოიქცეთ ასე: ეჭვმიტანილს დააყენებთ სასტამბო საღებავით წარმოულ ლითონის ფირფიტაზე, მხოლოდ შემდეგ ქაღალდის სუფთა ფურცელზე და შემდეგ ადარებთ ერთმანეთს. მიღებულ ანაბეჭდს ადარებთ ქონდუმანგის ტვიფარს, ნატულარულ სიდიდის ფოტოგრაფიულ ნაღს (снимок) ან ნაპოვნ კვალიდან გაკეთებულ ნახატს. ნახატთან შედარება სწარმოებს კვადრატებით; ამასთანავე უნდა გამოიკვლიოთ ცალკე თვითეული კვადრატი და ყველა მასში არსებული ნახატის განსაკუთრებული თვისებანი, როგორც მაგალითად, ლურსმები, ნახვრეტები, ზიანები და სხვ. ბევრათ ძნელია ეს შედარება, როდესაც ნაპოვნი კვალი გაკეთებულია ტიტველა ფეხით, რადგანაც რაიმე თანხვდენილი განსაკუთრებული თვისებები ჩვეულებრივ არ ემჩნევა, უკეთუ ტერიფი არ იყო დამახინჯებული. ტიტველა ფეხის კვალესის შედარების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალის საერთო ხასიათს, თითების დალაგებას, განსაკუთრებით დიდი თითისას, მათი დაშორებას კვალზე ტერიფიდან, ტერიფის ნაწილის მოხაზულობას და სხვ. ჩაცმულ ფეხების კვალების შედარების დროს უნდა მიექცეს ყურადღება განსაკუთრებულ თვისებებს, საკერებლებს, ნახვრეტებს, ლურსმების დაწყობას, დაჭედვას და სხვ.

როდესაც ეჭვმიტანილს ვართმევთ მისი ფეხების ანაბეჭდებს, საჭიროა მათი აღდგენა როგორც უძრავ მდგომარეობაში, ისე ეჭვმიტანილის ნელი და ჩქარი სიარულის დროსაც.

ამნაირია ცნობები ფეხების კვალების შესახებ თანამედროვე კრიმინალისტური ლიტერატურის მიხედვით. ხელის თითების კვალების და მასთან დაკავშირებით და ქტილოსკოპიის შესახებ შემდეგ ნომერში.

**დ. მირიანიშვილი.**

## პრაქტიკოსის შენიშვნა.*)

### როგორ უნდა მოიქცეს სასამართლოს აღმასრულებელი იმ შემთხვევაში როდესაც მოვალე და მესამე პირნი აღწერილ ქონებას არ ღებულობენ შესანახად?

თანახმად სამოქ. სამ. საპ. კოდ. 281 მუხლისა აღწერილი ქონება სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა ჩააბაროს შესანახათ მოვალეს ან სხვა პირს თავის შეხედულებისამებრ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოვალენი ბოროტი განზრახვით, რომ სასამართროს აღმასრულებელმა ქონება გაანთავისუფლოს აღწერიდან, არ იღებენ შესანახად თავიანთ აღწერილ ქონებას და მესამე პირნიც მათ შორის გადამხდევინებელიც (ეს უკანასკნელი იშვიათად ესწრება აღწერას) არ იღებენ პასუხისმგებლობას

*) დ ისკუსიის წესით.

# სასამართლო და ცხოვრება

## სასამართლოს აღმასრულებლები

(სასამართლოს აღმასრულებელთა აპარატის რაციონალიზაციის შესახებ.*)

რესპუბლიკაში არსებულ 71 სახალხო, 12 სამაზრო და 60 საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილება-დადგენილების აღსრულება დაკისრებული აქვს 52 სასამართლო აღმასრულებელს. მათ შორის 14 მუშაობს ტფილისში, ხოლო დანარჩენი—პროვინციებში. მაზრებში მომუშავე აღმასრულებელი თვეში საშუალოდ ღებულობს 37 მანეთს, რაც წლიურად უდრის 444 მანეთს. მაშასადამე, მაზრებში მომუშავე 38 აღმასრულებლები წელიწადში ღებულობენ 16872 მანეთს. აქ უნდა დაუმატოთ დაზღვევის, კულტფონდის და ადგილკომის ხარჯები ე. ი. ამ თანხის 11,75 % ანუ 2030 მანეთი. გამოდის, რომ თანხა, რომელიც სახელმწიფომ წელიწადში უნდა გაიღოს პროვინციაში მომქმედ აღმასრულებელთა აპარატის შესანახად მრგვალი ციფრით უდრის 18900 მანეთს. ამას გარდა, როგორც სტატისტიკური ცნობები გვიდასტურებს თითო აღმასრულებელს პროცენტიული ჯილდოს სახით წლიურად შემოსდის 360 მანეთი, ყველა 38 კაცს კი—13600 მანეთი.

უნდა აღინიშნოს რომ არსებულ პირობებში სასამართლოს გადაწყვეტილება-დადგენილებათა რეალიზაციის საკითხი ძალზე ცუდათ სდგას. უწყებათა ჩაბარების საქმეც ძლიერ მოიკოჭლებს; იმისათვის კი რომ საკითხი მოგვარდეს სათანადოთ, სიჭიროა ამ საქმეში არსებული სისტემის შეცვლა. თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა შეიცვალოს, ამის შესახებ მოგვყავს შემდეგი მოსაზრებანი:

1) თითო სასამართლო უბანს უნდა მიეცეს ერთი აღმასრულებელი, ხოლო რომელ უბანშიდაც საქმის შემოსვლის რაოდენობა დიდია—ორი;

2) მილიციის ორგანოები სრულიად უნდა განთავისუფლდეს უწყების ჩაბარების და აღმასრულებელი ფურცლის რეალიზაციის საქმიდან და ეს ფუნქციები მთლიანად დაეკისროს სასამართლო აღმასრულებელთა შტატს;

3) გაუქმდეს პრემიალური სისტემა და სასამართლო აღმასრულებელთათვის შემოღებულ იქნეს მხოლოდ მარტო ხელფასის მტკიცე განაკვეთი.

ხელფასის რაოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქმის წარმატებით აღსრულებისათვის აღმასრულებელს აუცილებლად უნდა ქონდეს მიმოსვლის საშვალებანი (ცხენი ან სხვ.) და აგრეთვე მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ ის გარემოე-

*) იხილ. „საბ. სამართ. № 23.

ქონების შესანახად. თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლოს აღმასრულებელი ამ შემთხვევაში კანონი არაფერს ამბობს, მხოლოდ ცხადია, რომ სასამართლოს აღმასრულებელს ძალდატანების უფლება არ აქვს ვინმე აიძულოს ქონების ჩაბარებაზე და არც იმის უფლება აქვს, რომ აღწერას თავი დაანებოს ან და ხელმოუწერლად ჩააბაროს ვინმეს ქონება. მოსკოვის სინამდვილეში ეს საკითხი მოგვარებულია იმით, რომ იქ სასამართლოს აღმასრულებელთა განკარგულებაში არის საერთო საწყობი, რომლებშიდაც მუშების საშვალებით ასეთ შემთხვევებში გადააქვთ აღწერილი ქონება და იქვე საჯარო ადგილზე ყიდიან მას. ჩვენ ვფიქრობთ ამგვარი ღონისძიების გატარება ჩვენშიდაც ხელს შეუწყობს სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობას გარდა ზემოაღნიშნულისა იმაშიაც რომ: 1) მოვალენი იმის შიშით, რომ მის ქონებას თუ არ ჩაიბარებს შესანახად გაიტანენ გასასყიდლათ საერთო საწყობში იძულებულნი იქნებიან ჩაიბარონ თავიანთი ქონება და ყოველ მხრივათ შეეცდებიან დაფარონ თავიანთი დავალიანება. 2) გასასყიდი ქონება საერთო საწყობში გაიყიდება ყოველთვის უფრო მეტ ფასში ვინემ ადგილზე, ვინაიდან მოსახლეობას ეცოდინება ერთი საჯარო ადგილი ყველა სასამართლოს ამასრულებელთა საერთო საჯარო ვაჭრობისა და ამით ბოლო მოეღება დღევანდელ მდგომარეობას, როცა მხოლოდ ფეხზედ მოვაჭრენი ე წ. „მაკლაკები" მოდიან ვაჭრობაზე და კაპიკებით იგდებენ ხელში მანეთების ქონების, რითაც მხარეები ზარალდებიან. (პასუხისგებაში მიცემა „მაკლაკებისა" თანამედროვე პირობებში შეუძლებელია იმის გამო, რომ ეს ნიშნავს საჯარო ვაჭრობაზე უარი ვსთქვათ სავსებით) და 3) ქონება შენახული საერთო საწყობში უზრუნველყოფილი იქნება გაფლანგვისაგან იმ მომენტიდან როდესაც ასეთი საწყობში იქნება გადმოტანილი.

საჭიროა ამ გარებოებას სერიოზული ყურადღება მიაქციოს სათანადო ორგანოებმა ზემოაღნიშნულ საფუძველზედ მისი მოწყობით.

სასამ. აღმას. **გერ. ქილიფთარი.**

# იურიდიული დახმარება

**კითხვა**: პირველ აპრილს 1922 წელსა დაიდვა შემდეგი შინაური ხელშეკრულება: „მე ამა და ამ სოფლის მცხოვრები მოქ. ივანიძე უწინდრეც ამა და ამ შენობას მოქ. ბაკურიძეს ორი თვის ვადით ორას მანეთში, თუ ხსენებულ ვადაში ვერ მივეცი ორასი მანეთი, ზემოთ აღნიშნული შენობა დარჩეს ბაკურაძეს",

ფული დანიშნულ ვადაში არ იქნა გადახდილი, რის გამო ბაკურიძემ ფაქტიურად ჩაიბარა შენობა 1922 წლის უკანასკნელ თვეებში და ამ დროიდან მოყოლებული დღე მდე შენობა იმყოფება ბაკურიძის მფლობელობაში, რომელიც ახდევინებს დგმურებს ქირას და საერთოდ სარგებლობს ამ ქონებით, როგორც პატრონი.

გეკითხებით, შესაძლოა თუ არა მოქ. ბაკურიძე ჩაითვალოს შენობის მესაკუთრედ, და უარყოფით შემთხვევაში დაჰკარგა თუ არა უფლება ხსენებულ შენობაზე წინანდელმა პატრონმა ივანიძემ. რომელსაც 1922 წლიდან არ ჰქონდა შენობასთან არავითარი კავშირი, რომ იყოს შესაძლო ამა ქონების გადარიცხვა სახელმწიფოს საკუთრებად.

**ბათომელი.**

ბაც, რომ ის იქნება ადგილობრივი კაცი და, მაშასადამე, არ ექნება გაწყვეტილი უშუალო კავშირი ოჯახთან. ჩვენის აზრით, მას თვეში უნდა მიეცეს ძირითადი ხელფასი 42 მან. 50 კაპ. და დატვირთვა 17 მან. 50 კაპ. იმ პირობით, რომ ცხენი თვითონ შეიძინოს და თავისი ხარჯზე იყოლიოს. ამ თანხას უნდა მიემატოს ადგილკომის, კულტფონდის და დაზღვევის ხარჯების დასაფარავად მისი 11,75 პროცენტი, ე. ი. დაახლოებით 7 მანეთი, ამრიგად თითო აღმასრულებელზე გაღებულ უნდა იქნეს თვეში 67 მანეთი. გარდა ამისა, უბანი უნდა დაიყოს ზონებათ და დაწესდეს სამგზავრო ხარჯების მტკიცე ნიხრი. როდესაც გადამხდევინებლის მოთხოვნით აღმასრულებელი გაემგზავრებ საკუთარი ცხენით რაიონში ნიხრით გათვალისწინებულ ცხენის ქირას თვითონ მიიღებს და ამ წყაროდანაც მას თვეში 10-15 მანეთი, შემოსავალი ექნება ასე რომ საბოლაოთ თვეში მიიღებს 70-75 მანეთს და ამავე დროს იქნება დაზღვეულიც.

ეხლა, გვაქვს რა მხედველობაში თვითეულ მაზრაში მომქმედ სასამართლოების რიცხვი, უბნის მცხოვრებთა რაოდენობა, ტერიტორიის სივრცე და რადიუსი, გამოვანგარიშოთ თუ რამდენი კაცია საჭირო იმისათვის, რომ აღმასრულებელთა აპარატმა შესძლოს თავისი დანიშნულების სათანადოთ შესრულება. აქ მოგვყავს იმის ცხრილი, თუ რომელ მაზრაში რამდენი სასამართლოს უბანი და აღმასრულებელი არის და რომელში, ჩვენი მოსაზრებით, რამდენი აღმასრულებელი არის საჭირო.

| მაზრის დასახელება | უბნის რაოდენობა | აღმასრულ. რიცხვი | უნდა იყოს აღმასრულ. |
|---|---|---|---|
| ტფილისის მაზრაში (ქ. თბილისის გამოკლებით) | 10 | 5 | 12 |
| გორის მაზრა | 6 | 2 | 7 |
| კახეთის „ | 8 | 6 | 10 |
| ბორჩალოს მაზრა | 3 | 3 | 4 |
| ახალციხის „ | 2 | 2 | 3 |
| ახალქალაქის მაზრა | 2 | 1 | 3 |
| ქუთაისის მაზრა ქ. ქუთაისით | 9 | 6 | 11 |
| შორაპნის მაზრა | 5 | 3 | 6 |
| რაჭა—ლეჩხუმის მაზრა | 6 | 3 | 7 |
| სენაკის მაზრა | 2 | 2 | 3 |
| ზუგდიდის „ | 4 | 2 | 5 |
| ოზურგეთის „ | 3 | 2 | 4 |
| სვანეთის „ | 2 | 1 | 3 |
| ქ. ფოთი | 1 | 1 | 2 |

ამ გვარად განაწილებული 80 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელთა აპარატი თავის სიმაღლეზე დააყენებს, როგორც უწყების ჩაბარების, ისე გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეს და მით დიდათ ასწევს სასამართლოს საქმიანობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითო აღმასრულებელზე თვეში გაღებული უნდა იქნეს 67 მანეთი დაზღვევის და ყველა სხვა ხარჯების მითვლით, წელიწადში კი გამოდის 804 მანეთი. ამ რიგად 80 კაცისაგან შემდგარი შტატის

**პასუხი:** მოქ. ბაკურაძეს არ შეეძლო შეეძინა შენობა მოქ. ივანიძისაგან გარეშე იმ წესისა, რაც გათვალისწინებულია სამოქ. სამართლის კოდექსის 185 მუხლში. ის გარემოება, რომ მოქ. ბაკურიძე ჰფლობს და სარგებლობს იმ შენობას, რაც ამ ჟამად ირიცხება, მოქ. ივანიძის სახელზე, არ შეიძლება ჩაითვლოს საფუძვლად შენობაზე საკუთრების უფლების განმტკიცებისათვის, ვინაიდან ბაკურიძეს მიმართება ამ შენობისადმი ფაქტიურად არ ემყარება არავითარ იურიდიულ ტიტულს. ამიტომ მისი მიმართება ამ ნივთისადმი არ შეიძლება დაცულ იქნეს სასამართლოს წესით. არ აქვს აგრეთვე მნიშნელობა უფლებრივ საკითხის გადასაწყვეტად იმ გარემოებას, რომ მას ჰქონდა და აქვს ამ შენობის ისეთი მოვლა-პატრონობა, რაც მის ნამდვილ ეკისრება.

იმ საკითხის შესახებ, დაჰკარგა თუ არა საბუთით მესაკუთრემ—ივანიძემ უფლება ხსენებულ შენობაზე, რა ხან მას 1922 წლიდან შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი კავშარი შენობასთან უნდა ითქვას, რომ მოქ. ივანიძის საკუთრების უფლება სადავო შენობაზე თანახმად სამოქ. სამ, კოდექსის 1 მუხლისა არ შეიძლება დაცულ იქნეს, რადგან მას არ გამოუყენებია მასზე განმტკიცებული უფლება თანახმად მის სოციალ-სამეურნეო დანიშნულებისა. ის გარემოება კი, რომ მოქ. ივანიძეს დაუდევს მოქ. ბაკურიძესთან თქვენს შეკითხვაში აღნიშნული გარიგება, და აგრეთვე ის, რომ ამ დროიდან მას თავი მიუნებებია გარიგების ობიექტისათვის, ნათლად მოწმობს სამოქ. სამ, კოდექსის პირველ და მეოთხე მუხლებში გამოთქმულ პრინციპების დარღვევას. ამიტომ ამ საქმეში არის იმის საკმაო საფუძველი, რომ სადავო ქონება სასამართლოს წესით გადავიდეს სახელმწიფოს საკუთრებათ.

# კანონმდებლობის მიმოხილვა.

1928 წ. ნოემბრის 16-დან ნოემბრის 30-მდე.

## ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის კანონმდებლობა.

### კრედიტი.

**О мероприятиях по хозяйственной помощи деревенской бедноте** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ოქტომბრის 25 დადგ. № 76,—„ზარია ვოსტოკა". № 269, ნოემბრის 22.).

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ს. კ. ს ოს იმავე სახელწოდების 1928 წ. სექტემბრის 7 დადგენილებისა („იზვესტია", № 213 1928 წ. ნოემბრის 13).

დადგენილებაში მოყვანილია დაწვრილებითი ცხრილი იმისა, თუ რა დანიშნულებით და რა ვადით შეიძლება მიეცეს სესხი უღარიბეს გლეხობას და რა ვადაში და რა ნაწილებად უნდა დააბრუნოს მან იგი.

გარდა ამისა, რათა უფრო მიზანშეწონილად ნაწილდებოდეს კრედიტები უღარიბესი გლეხობის საკრედიტო ფონდიდან, გათვალისწინებულია სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან არსებულ სასოფლო კომისიებში უღარიბეს გლეხობის აქტივის წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობა.

წინადება მიეცა ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დააწესონ სისხლ. სამ. წესით პასუხისმგებლობა უღარიბეს გლეხობისათვის კრედიტის მიმცემ დაწესებულებათა თანამშრომლებისა სესხის დროზე არ მიცემისათვის, სახსარის არა დანიშნულებისამებრ მოხმარებისათვის, სესხის ვადასა ან რაოდენობის შემცირებისათვის, პროცენტების გადიდებისათვის, კრედიტების მიზნობრივი დანიშნულების და სოციალური მიმართულების შეცვლისათვის.

ეკოსაბჭოებს წინადადება მიეცა, რათა მათ შეჰქმნან უღარიბეს გლეხობისათვის, უპირატესად სხვა ფენებისა, შეღავათიანი პირობები მარცვლის გასაწმენდ და საგრილებელი პუნქტებით სარგებლობისათვის, დირექტივები მისცენ ადგილებს იმის შესახებ, რომ ამ

---

შენახვა წელიწადში დაჯდება 64302 მანეთი. რომელ ფინანსიურ რესურსებიდან უნდა მიეცეს მათ ეს ხელფასი?

პირველ წერილში ჩვენ ვსთქვით (იხ. 1928 წ. „საბჭოთა სამართალი" № 23) რომ სასამრთლოებში შემოსულ უწყების ჩაბარებისათვის გადასახდელი გასამრჯელო წელიწადში მოგვცემს 6800 მანეთს, ამ თანხას მივიღებთ იმ ანგარიშით თუ, რომ ერთ ისეთ საქმეზე, რომელზედაც დაწესებულია გადასახადი ვიანგარიშებთ ერთ ცალ უწყებას, ხოლო თუ ჩვენ თითო საქმეზე ვივარაუდებთ 5 უწყებას, რაც ჩვენის აზრით, მინიმუმათ უნდა ჩაითვალოს, „უწყების ფულის" სახით წელიწადში შემოვა 34000 მანეთი. აქ ჩვენ შეგვიძლია არა მარტო მატერიალური თვალსაზრისით, არამედ კლასიური პრინციპის გატარების მიზნითაც ამ ჟამად არსებული უწყებაზე გადასახდელი 15 კაპ. გავადიდოთ სარჩელის თანხის რაოდენობის მიხედვით და „უწყების ფულის" საერთო თანხა წელიწადში ავიყვანოთ 40-50-ათას მანეთამდის. გარდა ამისა ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის 18900 მანეთი, რომელიც ყოველ წლიურად ხელფასის და სხვა ხარჯების სახით მიდის 38 აღმასრულებლის დასაკმაყოფილებლად და კიდევ 13600 მანეთი, რომელიც მათ შემოსდით პროცენტიული ჯილდოს სახით, ე. ი. სულ 32500 მანეთი. ეს თანხა მთლიანად წავა საერთო ქვაბში.

ზედმეტი არ იქნება მოკლეთ მაინც შეეხოთ იმ უხერხულობას, რომელიც ახლავს „უწყების ფულის" გადახდევინების საქმეს. ამ ფულის გადახდევინება, რომ თვით სასამართლომ იკისროს მას დასჭირდება ბუჰგალტრები. უწყების ჩამბარებელმა კი ამ საქმეში შეიძლება გადაეღობოს შემდეგ დაბრკოლებებს. ვსთქვათ მან განვლო 10-15 კერსი, მიუტანა მაძიებელს უწყება და მოსთხოვა ფული, ამ უკანასკნელს კი ჯიბეზე ფული არ დაურჩა, რაც ხშირი მოვლენაა სოფლად, რა უნდა ქნას ჩამბარებელმა, ენდოს ნისიათ თუ უკან წამოიღოს ჩასაბარებელი უწყებები? ან კიდევ: მოწმეებს ჩამბარებელმა უწყებები ჩააბარა, და ბოლოს მივიდა მაძიებელთან და მოსთხოვა ფული, მან კი უარი განუცხადა ფულის მიცემაზე, რადგანაც უკვე მოურიგდა მოპასუხეს. ვინ დააკმაყოფილოს გაწეული შრომა? გარდა იმისა, რომ ამ წესით აკრეფილ ფულის რაოდენობა არ დაექვემდებარება ტეხნიკურ კანტროლს და აგრეთვე მთელი რიგი სხვა დაბრკოლებებისა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სოფლად გლეხისათვის ჩამბარებლის მიერ უწყების ჩასაბარებელი ჯილდოს მოთხოვნა ძალზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მოსახლეობაში. ჩვენის აზრით, ამ უხერხულობიდან გამოსვლა შეიძლება ერთი გზით: დაწესდეს გადასახდელი არა უწყებაზე, როგორც ეხლა არის, არამედ თვით საქმეზე ე. ი. სარჩელის აღძვრის დროს გადაიხადოს მაძიებელმა განსაზღვრული თანხა ამ გვარ ხარჯების დასაფაოავად *).

**თ. შავიშვილი.**

*) რედაქციას საჭიროთ მიაჩნია პროვინციებში და ადგილებზე მომუშავე ამხ. გამოსთქვან თავიანთი აზრი აღნიშნულ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელებმა მოაწყონ ღარიბ მეურნეობათა მიერ მამოძრავებლებითა და რთული მანქანებით კოლექტიური სარგებლობა, დაავალოს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათ, რათა მათ, უკეთუ მათი მეურნეობაში ინვენტარი საკმაებით არ იქნება დატვირთული, მიაწოდონ იგი შელავათიან პირობებში ულარიბეს ფენებს და სხვ.

## სამეურნეო მშენებლობა.

**О гарнцевом сборе** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ნოემბრის 27 დადგ. № 77,—„ზარია ვოსტოკა". № 274, ნოემბრის 28.)

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ს. კ. ს-ოს იმავე სახელწოდების 1928 წ. ნოემბრის 2 დადგენილებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე 1928 წ. დეკემბრის 5-დან ყველა წისქვილმა (სახელმწიფო, კოოპერატიულმა და კერძომ) მარცვლეულობის დასაფქვავი უნდა გადაახდევინონ მხოლოდ ნატურით (მინდი). მინდის რაოდენობას განსაზღვრავს ა/კ. ვაჭრობის სახკომი.

წისქვილების პატრონებმა და მოიჯარადრეებმა მთელი მინდი უნდა ჩააბარონ, ა/კ. ვაჭრობის სახკომის მიერ დაწესებულ ფასებში, იმ სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომელთაც მინდის მიღებას დაავალებს აღნ. სახკომი.

ზემოაღნიშნულ წესით მიღებული პურის მოხმარება მოხდება ს. ს. რ. კავშ. ვაჭრობის სახკომის მიერ განსაზღვრულ წესით, მასთანავე ამ პურის ნაწილი მოიხმარება ადგილობრივი საჭიროებისათვის, უმთავრესად ღარიბ გლეხობისათვის.

მინდის წესით პურის შემოსვლა და ამ პურის მოხმარება დამოუკიდებლად აღირიცხება ა-კ. ვაჭრობის სახკომის მიერ ფედერატიულ ორგანოებში არსებულ მისი ორგანოების მეშვეობით.

ვაჭრობის მომწესრიგებელი ადგილობრივი ორგანოები მეთვალყურეობას უწევენ მინდის აღების საქმეს, თანახმად ა-კ. ვაჭრობის სახკომის ინსტრუქციისა.

ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა ეკისრება ამავე სახკომს.

ა-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მთავრობებმა უნდა განსაზღვრონ სანქციები მინდის წესების დარღვევისათვის.

## კომუნალური მეურნეობა.

**Об основных положениях об амортизации имуществ коммунальных предприятий** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ნოემბრის 1 დად № 74,—„ზარია ვოსტოკა" № 270, ნოემბრის 23.)

ყველა კომუნალურ საწარმომ უნდა აწარმოოს იმის აღრიცხვა, თუ რამდენად ცვდება მისი ქონება, და ამორტიზაცია ქმნას ამ ქონების ღირებულება.

საამორტიზაციო თანხები შესდგება განსაზღვრულ პროცენტული ანარიცხებით საწარმოს მთელი იმ ქონების ღირებულებისა მიხედვით რაც საინვენტარო აღწერილობაშია შეტანილი და თავისი ბუნებით წარმოადგენს საწარმოს ძირითად კაპიტალს. საამორტიზაციო ანარიცხების თანხები უნდა შეეფარებოდეს ქონების გაცვეთის საშუალო ღირებულებას დადგენილ ნორმებით, რომლებიც განისაზღვრება იმით, თუ რამდენ ხანს უნდა ემსახურებოდეს ქონება თავის დანიშნულებას, კაპიტალური რემონტის მხედველობაში მიღებით, და მთლად შედის საწარმოს პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციაში.

საამორტიზაციოდ ჩაითვლება ქონების ღირებულება ამ ქონების საწარმოს საინვენტარო აღწერილობაში შეტანის დროს.

იჯარით გაცემული ქონების ამორტიზაცია მოხდება იჯარით შემოსული თანხების ანარიცხებით. ამიტომ იჯარის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხიც, ყოველ შემთხვევაში საიჯარო თანხა არ შეიძლება იყოს ქონების გაცვეთის ღირებულებაზე ნაკლები. უშემოსავლო და საკონსერვაციოდ გადარიცხული საწარმოს ქონების გაცვეთა აღირიცხება საინვენტარო ანგარიშიდან იმ თანხების ჩამოწერის გზით, რაც ოდრის გაცვეთის ღირებულებას.

ყველა ზემოაღნიშნულ საამორტიზაციო ანარიცხებიდან შესდგება ყველა კომუნალურ საწარმოსათვის საერთო საამორტიზაციო ფონდი ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში; ეს ფონდი აღმასკომის განკარგულებაშია. ამორტიზაცია აღირიცხება ყოველ საწარმოსათვის ცალ-ცალკე.

საამორტიზაციო ფონდის სახსრები დაიხარჯება ან საწარმოს აღსადგენად, ან კაპიტალურ შეკეთებისათვის, ან ახალი საწარმოს მოსაწყობად.

თანხები შეინახება სახელდახელო ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში, ან ადგილობრივ კომუნალურ ან საქალაქო ბანკში, ხოლო თუ ასეთები არ მოიპოება—სახ. შემნახველ სალაროს ადგილობრივ განყოფილებაში ან ფინსახკომის სალაროებში. საამორტიზაციო ფონდიდან ფული დაიხარჯება სახარჯთაღრიცხვო წესით (ადგილ. ბიუჯ.).

გათვალისწინებულია აგრეთვე საწარმოს და ქონების სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის შედეგები.

## ჯანმრთელობის დაცვა.

**О мерах к усилению обслуживания детей работниц яслами, детскими садами и другими учреждениями по охране детей** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1923 წ. ნოემბრის 19 დადგ.—„ზარია ვოსტოკა" № 271, ნოემბრის 24.).

1928 წ. ოქტომბრის 1-დან ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა სამრეწველო და სავაჭრო, კომერციულ ანგარიშით მომქმედ საწარმომ, საკონცესიო ხელშეკრულების თანახმად მომქმედ შერეულ სააქციო საზოგადოებამ და საზოგადოებამ, სადაც სჭარბობს კოოპერატიული კაპიტალი, და აგრეთვე ყველა საფეხურის სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციამ, სასოფლო-სამ. სამომხმარებლო საზოგადოების გარდა,—სადაც კი იყენებენ ქალთა შრომას, სავალდებულოდ უნდა შეიტანოს სამუშაო ხელფასის ფონდის $^1/_4$ % ბაგებისა, საბავშვო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შესანახად. ამავე პირობებში მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის განაწილების დროს უნდა გამოიყოს ამავე მიზნით არა ნაკლებ 5 პროცენტისა ხოლო ისეთ დაწესებულებებში და საწარმოებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, გამოსაყოფი თანხაც აუცილებლად სათანადოდ უნდა იქნეს გადიდებული.

ზემოაღნიშნული ანარიცხები გადაეცემა ჯანმრთელობის დაცვის და სახ. განათლების სათანადო ადგილობრივ ორგანოებს დადაიხარჯება სათანადო ორგანიზაციებთან და პროფორგანიზაციებთან შეთანხმებულ მტკიცე გეგმით. თანხების განაწილება ამ ორგანოთა შორის მოხდება საწარმოს შეთანხმებით სათანადო პროფორგანიზაციასთან. უკეთუ რაიმე მიზეზით საბავშვო დაწესებულების მოწყობა ერთ რომელიმე საწარმოო-ორგანიზაციასთან მიზანშეუწონელად იქნება ცნობილი, ერთად შეერთდება რამდენიმე დაწესებულება.

ყველა აღნიშნულ საწარმომ და დაწესებულებამ უნდა გადასცეს მის გამგებლობაში მყოფი ბაგა ჯანმრთელობის სათანადო ორგანოს არა უგვიანეს ა. წ. დეკემბრის 1-ისა.

დადგენილებით გაუქმებულია ა/კ შემდეგი საკანონმდებლო აქტები: 1) ს. კ. ს-ოს 1926 წ. აგვისტოს 5—კან. კრ. 1926, № 9, მუხ. 710; 2) ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1927 წ. აგვისტოს 1—კან. კრ. 1927 წ. № 15, მუხ. 177; 3) ს. ფ. ს. 1927 წ. მაისის 25—კან კრ. 1927 წ. № 16, მუხ. 124; 4) ც. ა. კ. და ს. კ. ს-ოსი 1928 წ. თებერვლის 6—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 32; 5) ც. ა. კ., და ს. კ. ს-ოს 1928 წ. აპრილის 11.—კან. კრ. 1928 წ. № 10, მუხ. 109).

ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებმა უნდა გამოსცენ დადგენილებანი მუშა-მოსამსახურეთა (ადგ. ბიუჯ. კომუნ.) ყოფა-ცხოვრების გაუმჯობ. ფონდების შესახებ.

# საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა.

## არჩევნები.

**ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საბჭოთა არჩევნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.** (ც. ა. კ-ის დადგ. № 84,—„კომუნისტი" № 266, ნოემბრის 17.)

1928—29 წ. არჩევნების ორგანიზაციულ-ტეხნიკური მხრით წარმატებით ჩატარების მიზნით სასამართლო, საფინანსო ორგანოებს, დამზღვევ სალაროებს, სამეურნეო და ჯანმრთელობის ორგანოებს დაევალა საქალაქო, სარაიონო, სათემო ან სასოფლო კომისიებისათვის კუთვნილებისამებრ საჭირო ცნობების წარმოდგენა (უფლება შეზღუდულთა შესახებ, დაქირავებული შრომის მოგების გამოსარჩენად გამომყენებელთა, მეურნეობაში ან მზრუნველობაში მყოფ სრულწლოვანთა, სულით ავადმყოფთა ან ჭკუანაკლებთა შესახებ და სხვ.).

ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველომ და მისი ადგილობრივ ორგანოებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს, მანვე უნდა დაამუშავოს მასალა.

წესები ცნობების შეკრებისა და საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემისა უნდა შეიმუშაონ იუსტიციის, ფინანსთა, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა, სოცდაზღვევის რესპ. კომიტეტმა და ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველომ ც. ა. კ-ის საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით.

## ფინანსები.

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს ს. ს. რ-ში ტყის ადგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ** (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის დადგ. № 74 —„კომუნისტ“ № 265, ნოემბრის 16).

მე-2 მუხლში სათაურში აღნიშნული დადგენილებისა (გამ. კან. კრ. 1927 წ. № 7, მუხ. 103) შეცვლილი პროცენტული დანარიცხის რაოდენობა ფოთლიანი ტყისათვის,—10 პროც.-დან აწეულია იგი 15 პროც.-მდე. წიწვიან ტყისათვის დატოვებულია ძველ ნორმა.

## სამოქალაქო სამართალი.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 415[1] მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 101 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ** (ც. ა. კ-ისა და ს. პ. ს-ის დადგ.—„კომუნისტი“ № 265, ნოემბრის 16), კან. კრ. 1928 წ. № 14, მუხ. 129).

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის დადგენილებისა იმ პენსიისა და გადასახდელის კაპიტალიზაციის შესახებ, რაც უნდა გადახდეს ლიკვიდაციაქმნილ საწარმოს ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო [კან. კრ. 1927 წ. № 65, მუხ. 661].

101 მუხ. 1 შენიშვნის ძალით დაზარალებულთა, მათი ოჯახის წევრთა და რეგრესის წესისამებრ, სოცდაზღვევის ორგანოთა პრეტენზია დაშავების ან სიკვდილის გამო საზღაურის შესახებ (ყველა სახის) ეთანაბრება დაკმაყოფილების რიგის მხრით პრეტენზიას სამუშაო ხელფასისა, ალიმენტისა და სოცდაზღვევის შესახებ.

101 მუხლის მომქმედი 1 შენიშვნა გადატანილია მე-2 შენიშვნად, ხოლო მე-2—მე-3 შენიშვნად.

ახალი 415-ი მუხ. ძალით საწარმოთა (სახელმ., შერეული და სხვ.) და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის დროს იმ თანხებს, რაც მათგან ერგება დაზარალებულთან, რეგრესის წესისამებრ, სოციალური დაზღვევის ორგანოებს საზღაურის სახით, როგორც ლიკვიდაციამდე, ისე თვით ლიკვიდაციის პროცესში შემთხვეული დაშავებისა ან სიკვდილის გამო, კაპიტალიზაცია უნდა ექნას თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. კ. კ-ის და ს. კ. ს-ოს დადგ. იმ პენსიისა და გადასახდელის კაპიტალიზაციის შესახებ, რაც უნდა გადახდეს ლიკვიდაციაქმნილ საწარმოს ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო კან. კრ. 1927 წ. № 65, მუხ. 661).

## სისხლის სამართალი.

**სისხლის სამართლის კოდექსის 60. 61 და 63 მუხლის შეცვლის შესახებ** (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის დადგ № 71, —„კომუნისტი“ № 265. ნოემბრის 16.—კან. კრ. 1928 წ. № 14, მუხ. 132).

60 მუხ. ახალი რედაქციით [გადასახადის ან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გამოსაღების გაუღებლობა დაწესებულ ვადაზე (და განსაზღვრული პირობებში) გამოიწვევს ჯარიმას, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას, ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი ხელმეორედ, ან რამდენიმე პირის მიერ წინასწარ შეთანხმებით, ანდა უკეთუ თანხა ორი ათას მასეთს აღემატება—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმით, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას,—ან უმისოდ.

61 მუხ. ახალი რედაქციით უარისთქმა ბეგარის მოხდაზე ან საერთო სახ. მნიშვნ. სამუშაოს შესრულებაზე გამოიწვევს ჯარიმას არა უმეტეს ორი მანეთისა ადმინისტრატიული წესით, უკეთუ სხვა რამ გადასახდელი არ არის გათვალისწინებული სათანადო კანონით, ხოლო ხელმეორედ ან რამდენიმე პირის მიერ წინასწარ შეთანხმებით ჩადენილი—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე; სტიპენდიატის მიერ სახელმწიფოს მიერ მასზე გაწეული ხარჯის ჯირიმით ანაზღვაურებაზე უარისთქმა (ან თავის არიდება)—იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმ ხარჯის რაოდენობით, რაც სახელმწიფომ დახარჯა სტიპენდიატზე.

63 მუხლით—გადასახად დასადებ ან აღსანუსხავ საგნების გადამალვა ან წინასწარ შეცნობით ამ საგნების რაოდენობის შესახებ ყალბი ცნობების მიცემა გამოიწვევს ჯარიმას, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას; ხოლო იგივე ქმედობა, ჩადენილი 60 მუხ. 2 ნაწ. გათვალ. გარემოებაში—თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან, ჯარიმით (არა უმეტეს ათჯერად რაოდენობისა) ან უამისოდ.

სამივე მუხლში შეცვლა შეეხო როგორც დანაშაულის ნიშნებს, განმარტებას და მუხლობრივ განაწილებას, ისე სანქციას.

**იმ საგნების ნუსხის შევსების შესახებ, რაც კონფისკაციით მსჯავრდადებულს არ ჩამოერთმევა (საქართველოს ს. ს. რ. სისხლ. სამ. კოდ. 39 მუხ. დანართი)** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის დადგ. № 73—„კომუნისტი“, № 265, ნოემბრის 16).

დადგენილებაში დაწერილებით და ამომწურავად ჩამოთვლილია საგნები, რაც მსჯავრდადებულს არ ჩამოერთმევა კონფისკაციით: სახლში სახმარებელი ნივთები, ტანისამოსი, ავეჯეულობა, იარაღი, თესლეულობა. საცხოვრებელი შენობა, სათბობი მასალა, ფული, საპაიო შენატანი და სხვ.

## სამოქალაქო პროცესი.

**საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის შეცვლის შესახებ** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 18 დადგ. № 69,—კან. კრ. 1928 წ. № 14, მუხ. 131).

ახალი რედაქციით 271 მუხლიდან ამოშლილია გამონაკლისთა ჩამოთვლა,—ზოგადად აღნიშნულია მხოლოდ: „იმ ქონების გამოკლებით, რაც აღნიშნულია ამა მუხლის I და II დანართში.

**I დანართი** ამომწურავი ჩამოთვლაა იმ ქონებისა, რომელზედაც არ შეიძლება მიიქცეს გადახდევინება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანაზღაურებული უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთა და კოოპერატიულ პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების დაფლანგვით, მოთვისებით და გატაცებით მიყენებული ზარალი.

**II დანართის** ძალით სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლოს მიერ სახ. დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების დაფლანგვით, მითვისებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მისჯილი თანხის გადახდევინება შეიძლება მიქცეული იქნეს მსჯავრდადებულის (მოპასუხის) მთელი ქონებაზე, გარდა იმ ქონებისა, რაც იქვეა ცალკე ჩამოთვლილი.

დანართის ბოლოში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ასეთი გადახდევინება შეიძლება მიქცეული იქნეს მთლად იმ ქონებაზე, რასაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) ფლობს სხვა პირებთან ერთად, მათ შორის იმ კომლის საერთო ქონებ ზედაც, რომლის შემადგენლობასაც ეკუთნის მსჯავრდადებული, აგრეთვე ცოლ-ქმრის საერთო ქონებაზე, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საერთო ქონება დანაშაულის გამო გადიდდა (იმ პირობით კი, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან დევნის აღძვრამდე ორ წელიწადზე მეტი არ იყოს გასული.

## სასამართლოს ფუოგბილება.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საარბიტრაჟო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 5 დადგ № 64,—„კომუნისტი“ № 264, ნოემბრის 16).

დადგენილებით გაუქმებულია ც. ა. კ-ის 1926 წ. თებერვლის 1, № 4 დროებით დადგენილება (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 4) და დამტკიცებულია სათაურში აღნიშნული სახელწოდების დებულება.

საქართველოს საარბიტრაჟო კომისია დაარსებულია ეკოსაბჭოსთან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონების გამო აღძრული დავის გადასაწყვეტად. კომისია შესდგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და 7—10 წევრისაგან, ეკოსაბჭოს დანიშვნით (1927 წ. დადგენილებით —თავმჯდომარისა, სახკომსაბჭოს დანიშვნით, და ორი წევრისაგან ეკოსაბჭოს არჩევით).

კომისიას ექვემდებარება დავა: ა) საქართველოს დაწესებულებათა და საწარმოთა შორის; ბ) საქ. დაწესებულებათა და საწარმოთა, ერთის მხრივ და საქართ. ტერიტორიაზე მომქმედ ა/კ. ფედერაციაში შემავალ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სახ. დაწესებულებათა და საწარმოთა ადგილობრივ ორგანოებს შორის, მეორე მხრივ; გ) საქ. დაწესებულებათა და საწარმოთა, ერთის მხრივ. და საქართ. ფარგლებს გარეთ მყოფ ა/კ. შემავალ რესპუკლიკების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ადგილ. ორგანოთა შორის, მეორე მხრივ, უკეთუ მოპასუხედ საქართ. დაწესებულებანი და საწარმოები არიან. საქ. ს. ს. რ. საარბ. კომისია განიხილავს აგრეთვე [illegible] ც ექვემდებარება ა/კ. საარბ. კომისიას, იმ შემთხვევაში და იმ პირობებში, რაც ჩამოთვლილია ა/კ. უმაღლ. საარბ. კომისიის დებულების (ა/კ. კან. კრ. 1928 წ. № 2, 14) მე-4 მუხლში და ამ მუხლის 1 შენიშვნით, უკეთუ სარჩელის ღირებულება 1000 მან. არ აღემატება.

შემდეგ მოყვანილია 6 სახის დავა, რომლებიც გამორიცხულია საქ. საარბიტრაჟო კომისიის გამგებლობიდან.

კომისია საქმეს მიიღებს ან იმ დაწესებულების თუ საწარმოს წერილობითი განცხადებით, რომელიც თავის უფლებას დარღვეულად სთვლის, ან ც. ა. კ-ის, ს. კ. ს-ის და ეკოსაბჭოს განკარგულებით

დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენენ საქმეში მონაწილე მხარეები, ხოლო თუ საჭირო იქნება. კომისიას შეუძლიან მოსთხოვოს მხარეთ დამატებითი საბუთები ან თვითონ შეჰკრიბოს ასეთები, დაწვრილებით გათვალისწინებულია აგრეთვე, თუ რას უნდა დაეყრდნოს კომისია თავისი გადაწყვეტილების დადგენის დროს.

საარბიტრაჟო კომისიას შეუძლიან მხედველობაში მიიღოს საერთო ხელმწიფოებრივი ინტერესი და: ა) შესრულების ვადა გაადიდოს ან გაანაწილოს, ბ) შესრულების საგანი მეორე საგნად ან ფულის ეკვივალენტად შესცვალოს და გ) გამონაკლის შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან. გადაწვეტილებაში აღინიშნება შესრულების კონკრეტიული საშუალება ან გაიცემა სათანადო ზოგადი დირექტივა.

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ განისაჩივრება. იგი სისრულეში მოიყვანება თვით მხარეთა მიერ, ხოლო თუ შესრულებული არ იქნება ვადაზე—იძულებითი წესით, თანახმად განსაკუთრებული წესებისა.

ეკოსაბჭოს შეუძლიან, ზედამხედველობის წესით, გააუქმოს ან შესცვალოს კომისიის გადაწყვეტილება და გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად სხვა შედგენილობაში. დაწესებულებას, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება უშუალოდ შეიტანოს საკითხები ეკოსაბჭოში, ერთ თვის განმავლობაში შეუძლიან აღძრას საკითხი გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ, თუ უკმაყოფილება 1000 მანეთზე მეტ თანხას შეეხება. ეკოსაბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს არ გადასცეს ეკოსაბჭოს საკითხი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და დასტოვოს იგი განუხილველად ან გადასცეს საარბ. კომისიის პლენუმს. გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით შეცვლის ან გაუქმების უფლება აქვს აგრეთვე საარბ. კომისიის პლენუმს.

კომისია მოქმედებს განმწესრიგებელი, სასამართლო და პლენარული სხდომების შედგენილობით.

აფხაზეთის ეკოსაბჭოსთან, აჭარის სახკომსაბჭოსთან და სამხრეთ ოსეთის ც. ა. კ-თან შეიძლება დაარსებული იქნეს საარბიტრაჟო კომისიები.

შედგენილობას განსაზღვრავს სათანადო ერთეულის ორგანოს. ეს კომისიები განიხილავენ იმ საქმეებს, რომლებშიაც ორივე მოდავე მხარე იმ რესპუბლიკას ან ოლქს ეკუთვნის, რომელშიაც კომისია მოქმედებს. მოქმედების წესი—ზემოაღნიშნულია.

საარბ. კომ. საქმის წარმოების, გადაწყვ. შესრულების და სხვ. წესს განსაზღვრავს საქ. ეკოსაბჭო.

## სამეურნეო მშენებლობა.

**საგეგმო წესისამებრ შეშის დამზადების შესახებ.** (ს. კ. ს-ის დადგ.—„კომუნისტი“ № 270, ნოემბრის 22).

ხე-ტყის საშეშედ დამზადება უნდა სწარმოებდეს საგეგმო წესით. ყველა სახელმწიფო დაწესებულება-საწარმო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციამ ყოველ წლივ, არა უგვიანეს მარტის 1-ისა, განცხადება უნდა შეიტანოს ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში საჭირო შეშის რაოდენობის შესახებ.

მიწათ-მოქმ. სახკომმა ა/კ. ვაჭრობის საქ.-ში რწმუნებულთან ერთად უნდა შეადგინოს ხე-ტყის საშეშედ დამუშავების გეგმა არა უგვიანეს ივლისის 1-ისა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს (პირველი გეგმა შედგენილი უნდა იქნეს და დასამტკიცებლად წარდგენილი არა უგვიანეს ა/წ ნოემბრის 15-სა.) ხელშეკრულებები შეშის ყიდვა-მიწოდების შესახებ დამთავრებულ უნდა იქნეს ყოველწლიურად არა უგვიანეს სექტემბრის 15.

ტყის მრეწველობის ტრესტმა უნდა მიიღოს ყოველი საჭირო ღონისძიება შეშის ბაზრის ხელში დასაჭერად.

**საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების განხორციელების შესახებ** (ს. კ. ს-ის დადგ.„—კომუნისტი“, № 265, ნოემბრის 16).

საქ. ფინსახკომს წინადადება მიეცა 1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის და გასული წლის ანგარიშის განხილვის დროს გამოარკვიოს, თუ რამდენად იცავენ ადგილობრივი ორგანოები მთავრობის დირექტივებს საადმინ.-სამმართველო ხარჯების შესახებ, განსაკუთრებით გამოარკვიონ, ხომ არ ყოფილა ბიუჯეტის ასრულების პროცესში აღნიშნული ხარჯები გადიდებული ოპერატიული თუ სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.

ახალი საბიუჯეტო წლის საადმინ. კრედიტების გამოანგარიშებას საუძვლად უნდა დაედოს ამავე ხარჯებისათვის 1927—28 წ. ძირითადი ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტის რაოდენობა და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ადგილ. ორგანოების მიერ ამ ხარჯების გადიდება.

დირექტივების ურყეველ შესრულებას მეთვალყურეობა უდნა გაუწიოს ფინსახკომმა.

დირექტივების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას არსებულ წესისამებრ.

ფინსახკომი მოხსენებას წარუდგენს სახკომსაბჭოს გამოკვლევის შედეგების შესახებ.

**გ. ქ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოფიციალური ნაწილი

**შინაარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები: №№ 16; 18; 19.— უზენაეს სასამართლოს ცირკულარი № 32.— ამონაწერი საქ. სოც. საბ. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაეთიანებულ სხდომის დადგენილებიდან.**

## ცირკულარი № 16.

**ყველა მაზრის პროკურორს.**

**ასლი: აფხაზეთის და აჭარისტანის რესპუბლიკების პროკურორებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის პროკურორს.**

ი. ს. კ. საპროკურატურო განყოფილებაში შემოსული ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მატყლის შესყიდვას აწარმოებენ ადერბეიჯანის და სომხეთის მატყლის დამამზადებელი ორგანიზაციები და აგრეთვე კერძო პირები მიუხედავად იმისა, რომ ასეთის მამზადების და ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის სრული მონოპოლია მინიჭებული აქვთ ა/კ. სახ. კომ. საბჭოს ა. წ. 3 ივლისის დადგენილებით მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობებს: „მწყემსს", „ბირლიკს" და „თერგის ხევს". აღნიშნული გარემოება მეტად აფერხებს ამ ამხანაგობების გეგმიან მუშაობას, რადგან მათ წინასწარ აქვთ ნავარაუდევი თუ რამდენი მატყლი უნდა დაამზადონ თავის სამოქმედო რაიონში განსაზღვრულ დროს და ამის მიხედვით სდებენ ხელშეკრულებებს სხვადასხვა დაწესებულებებთან. ამ ხელშეკრულებათა შესრულება კი ზემოაღნიშნულის მიზეზით შეუძლებელი ხდება

ზემო აღნიშნულის და იმის გამო, რომ მიუხედავათ მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილებისა, რომლითაც კერძო პირებსე და სომხეთის და აზერბეიჯანის ორგანიზაციებს ეკრძალებათ მატყლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება, მაინც ხდება — რითაც დიდი ზარალი ადგება კოოპერატიულ მეცხვარეთა ამხანაგობებს—„მწყემს ს' ,ბირლიკს" და „თერგის ხევს". ი. ს. კ. ცენტრალური პროკურატურა წინადადებას გაძლევთ ყურადღებით მოეპყრათ აღნიშნულ ამხანაგობათა კანონიერ განცხადებებს და ყოველ ცალკე შემთხვევაში დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრათ სისხ. სამ. წესით დევნა ს. ს. კოდ. 108 და 109 მ.მ. მიხედვით.

რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე

**თ. დოლიძე.**

ი. ს. კ. პროკურორი **იპ. კაპანაძე.**

1928 წ. ნოემბრის 26.
ქ. ტფილისი.

## ცირკულარი № 18.

**ყველა სამაზრო პროკურორს და საახალხო მოსამართლეს საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ.**

პროკურორი და სახ. მოსამართლე, რომელთაც დაკისრებული აქვთ ადგილობრივ რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცეპა და ზედამხედმელობა საბჭოთა ხელისუფლების კანონთა და ღონისძიებათა სწორად და დაუმახინჯებლივ შესრულებისათვის, ვალდებულია აქტიურად ჩაებას საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში.

საარნევნო კამპანიის ჩატარების პროცესში პროკურორებმა და სახალხო მოსამართლეებმა მშრომელ გლეხობის მოწვეულ კრებებზე უნდა განუმარტონ იმ დებულებების და ინსტრუქციების შინაარსი-რომლის მიხედვითაც ტარდება საარჩევნო კამპანია.

პროკურორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საარჩევნო უფლებას მოკლებულ მოქალაქეთა განცხადებათა განხილვაში და თუ დაინახავს რაიმე უკანონობას, უნდა დაუყოვნებლივ განუცხადოს პროტესტი საარჩევნო კომისიას მოქალაქეთა დარღვეული უფლების აღსადგენად. გარდა ამისა პროკურორი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს და არ გავიდეს საბჭოთა საარჩევნო უფლებას მოკლებული პირი და თუ ასეთი აღმოჩნდება, მიეცეს იგი პასუხისგებაში, თანახმად ს. ს. კ. 92 მუხ. და ასეთ საქმეებზე მოაწყოს საჩვენებელი პროცესი.

ყოველ აღმოჩენილ შემთხვევაში, რომ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ პირები, რომლებიც საარჩევნო უფლებებს მოკლებულნი უნდა იყვნენ, პროკურორი უნდა შევიდეს სათანადო პროტესტით ასეთ პირებზე საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის შესახებ.

თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის ა. წ. 28 ნოემბრის თარიღით გამოცემულ ცირკულარისა დამქირავებლები ვალდებულნი არიან საარჩევნო კამპანიების ჩატარების დროს გაანთავისუფლონ მოჯამაგირე-მუშები მუშაობიდან არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პროკურატურამ თვალყური უნდა ადევნოს, რათა ეს დადგენილება ცხოვრებაში იქნეს გატარებული და ყოველ ცმლკე შემთხვევაში აღნიშნული დადგენილებების დამრღვევლები დამქირავეკლები მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში ს. ს. კ. 141 მუხ მიხედვით.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის

პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**

ი. ს. კ. პროკურორი **ნ. სააკოვი.**

1928 წ. 8 დეკემბერი.

## ცირკულარი № 19.

**ყველა მაზრის პროკურორს და სახ. სასამართლოს.**

**ასლი: უზენაეს სასამართლოს, მაზრის და რაიმილიციის უფროსებს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.**

ჩატარებული რევიზიის შედეგებიდან სჩანს, რომ იუსტიციის ორგანოების მიერ ადგილებზე მიწის - ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე მოისუსტებს.

ბრძოლა მიწის ნაციონალიზაციის გამაგრებისათვის სოფლად-(ბრძოლა ყიდვა-გაყიდვისა, უკანონო იჯარით და სუბიჯარით გაცემისა) წარმოადგენს იუსტიციის ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურორები უსაფუძვლოთ სპობენ მოკვლევის პროცესში საქმეს მიწის ყიდვა-გაყიდვის შესასებ, და ამის მიზეზია ის, რომ მოკვლევა სრული არ არის.

სახ. სასამართლოებსაც ხშირად გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენები, ან საქმეებს წარმოებით სპობენ, რაც აიხსნება ისევე ზემოთ აღნიშნული მიზეზით. სახ. სასამართლო არ ატარებს ცხოვრებაში კანონს, რომლის ძალითაც კონფისკაცია უნდა ექნას გაყიდულ მიწას და მიწის გაყიდვით აღებულ ფულს. ხშირად ამის შესახებ განაჩენებში არაფერია ნათქვამი ან და თუ არის—განაჩენები ამ ნაწილში არ სრულდება.

ხშირად მიწის ნასყიდობას ადასტურებენ და „აკანონებენ" ადგილობრივი ორგანოები, ნოტარიუსები და აღმასკომები.

მიწის იჯარით უკანონოდ გაცემა ჩვეულებრივი მოვლენაა, და ხშირად ასეთი იჯარით იფარება ფაქტიური ყიდვა-გაყიდვა. პროკურორების ზედამხედველობა ამ დარგში მეტად სუსტია.

ზემოთ აღნიშნულის გამო გევალებათ:

1. მიიღოთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა მიწის ნასყიდობის საქმეები მოკვლეულ იქნეს სწრაფად და სწორად.

2. გააძლიერეთ ზედამხედველობა სახ. სასამართლოებზე, რომ ასეთი საქმეები ირჩეოდეს თავის დროზე მიწის კანონთა სასტიკი დაცვით.

3. თვალყური ადევნეთ, რათა განაჩენები—კერძოდ მიწის და ფულის კონფისკაციის შესახებ, თავის დროზე სრულდებოდეს, რისთვისაც პერიოდულად უნდა დაათვალიეროთ სახ. სასამართლოებში გარჩეული საქმეები მიწის ნასყიდობის შესახებ.

4. საჭიროა გაძლიერებული იქნეს კერძოთ მყიდველების მიმართ მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის ხმარებული სოც დაცვის ღონისძიება.

5. გამოიყენეთ რაიონებში და სოფლებში ყოფნის ყოველი შემთხვევა იმ მხრივ, რომ გააცნოთ მოსახლეობას რევოლიუციონური კანონიერების, კერძოთ მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მნიშვნელობა, გამოიყენეთ ამისათვის ყოველგვარი კრება და სხდომა.

6. დაიჭირეთ მჭიდრო და საქმიანი კავშირი მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებასთან, მუშკორ-გლეხკორთა ორგანიზაციებთან და სოფლის ულარიბეს მოსახლეობასთან.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის
პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**

ი. ს. კ. პროკურორი **ა. კალანდაძე.**

1928 წ. დეკემბრის 10.

## ცირკულარი № 32.

**ყველა სახალხო სასამართლოს, სამაზრო სასამართლოებს, სახამართლო აღმასრულებლებს და საფინანსო ორგანოებს.**

**ასლი: საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.**

**გერმანიის მოქალაქეთა შინაური ანდერძით გარდამავალ სამკვიდრო ქონებიდან სამემკვიდრო ბაჟის გადახდევინების შესახებ.**

დამატებით საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1926 წ. ოქტომბრის 26-ის № 70 ცირკულარისა „სსრ კავშირისა და გერმანიის შორის მემკვიდრეობის შესახებ“ დადებული შეთანხმების შეფარდების შესახებ, წინადადება გეძლევათ მიიღოთ სახელმძღვანელოთ სსრ კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის განმარტება იმისა, თუ რა წესით უნდა მოხდეს სამემკვიდრო ბაჟის გადახდევინება გერმანიის მოქალაქეთა შინაური ანდერძით გარდამავალ სამკვიდრო ქონებიდან.

მემკვიდრეობის შესახებ დადებული შეთანხმების 14 მუხლით გერმანიის მოქალაქის ის ქონება, რომელიც ჩვენ ტერიტორიაზეა, შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს გერმანული კანონების მიხედვით შედგენილი შინაური ანდერძით. იმისათვის, რომ შინაურ ანდერძს იურიდიული ძალა ჰქონდეს, იგი უნდა გადაიგზავნოს გერმანიის სამემკვიდრო სასამარლოში გასახსნელად და დასამტკიცებლად, რის შემდეგ უკვე ჩამოყალიბებული ანდერძის დედანი წარედგინება ჩვენ ხელისუფლებას შესრულებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც შინაურ ანდერძის საგანს უძრავი ქონება შეადგენს, ჩვენი ხელისუფლება მემკვიდრეობის საკითხს და აგრეთვე საკითხს სამემკვიდრო ბაჟის გადახდევინების შესახებ ვერ გადასწყვეტს იმ დრომდე, სანამ შინაური ანდერძი არ იქნება ჩამოყალიბებული გერმანიის სამემკვიდრო სასამართლოში და არა იმ დრომდე, სანამ სამემკვიდრო საქმე და ამ საქმიდან გამომდინარე დავა გადასწყდებოდეს გერმანიის სასამართლოში; ეს მოსაზრება ემყარება შეთანხმების მე-13 მუხლს, რომლის ძალით უძრავი ქონების საკითხი სამემკვიდროუფლებრივი მხრივ გადაწყდება იმ სახელმწიფოს კანონებით, რომლის ტერიტორიაზედაც სამკვიდრო ქონებაა. ხოლო იმავე შეთანხმების მე-16 მუხლის ძალით დავა უძრავი სამკვიდრო ქონების შესახებ შეუძლიან გადასწყვიტოს მხოლოდ იმ სახელმწიფოს სასამართლომ, სადაც ეს ქონებაა.

რაც შეეხება საანდერძო განკარგულებას ჩვენ ტერიტორიაზე მდებარე მოძრავი ქონების შესახებ, იმდენად, რამდენად შეთანხმების მე-13 და მე-16 მუხ. ძალით ასეთი ქონების ბედი გადასწყდება გერმანიული კანონების მიხედვით და გერმანიის სასამართლოებში-საკითხი ამ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების ცნობის შესახებ და სამემკვიდრო ბაჟის გადახდევინების შესახებ შეიძლება გადადებულ იქნეს იქამდე, სანამ გერმანიის სასამართლო არ გამოიტანს აღნიშნული ქონების შესახებ გადაწყვეტილებას და წარმოდგენილ არ იქნება სათანადო სამემკვიდრო მოწმობა. (მე-15 მუხ. შეთანხმებისა მემკვიდრეობის შესახებ).

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე—**ილ. ტალახაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე—**ი. ფანცხავა.**

1928 წ. ნოემბრის 26.

---

# დადგენილება

**საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს 1928 წ. ნოემბრის 2-ს გაერთიანებული სხდომისა.**

**სასამართლოს განაჩენით საქართველოს საზღვრებიდან გადასახლების საკითხის მოგვარების შესახებ.**

1. აღიძრას შუამდგომლობა სსრ კავშირის საკანონმდებლო ორგანოების წინაშე სასამართლოს განაჩენით საზოგადოებრივად საშირი პირების მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრებიდან გაძევების საკითხის მოსაწესრიგებლად სათანადო კანონის გამოცემის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს სასამართლოებს, რათა იმ დრომდე, ვიდრე ზემოაღნიშნული საერთო საკავშირო დადგენილება გამოიცემოდეს, სისხლის სამართლის კოდექსის მე-34 მუხლის მიყენების დროს დაკმაყოფილდენ მსჯავრდადებულის ამა თუ იმ ადგილიდან მხოლოდ საქართველოს სსრ ფარგლებში გაძევებით მათი ამა თუ იმ ადგილებზე სავალდებულო დასახლებით, განსაზღვრულ ადგილებზე დასახლების აკრძალვით ან ამ უფლებათა შეუზღუდველად.

3. აღიძრას შუამდგომლობა ა-კ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული განკარგულების ა-კავკასიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ, რათა ა-კ. ფედერაციაში შემავალი რომელიმე რესპუბლიკა არ მოექცეს ისეთ მდგომარეობაში, სადაც სასამართლოს მიერ სოციალურად საშიშად ცნობილი ყველა პირები იქნებიან გადასახლებულნი.

4. ყველა პირთ, რომლებთა მიმართ უკვე არსებობს სასამართლოს განაჩენი მათი საქართველოს სსრ ფარგლებიდან გაძევების შესახებ, სასჯელი შეეცვალოს საქართველოს სსრ ფარგლებში გაძევებით.

5. აღნიშნული დადგენილება წარედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს დადასამტკიცებლად.

საქარ. სსსრ სახ. კომ. საბჭოს თავმჯდ.—**ლ. ქართველიშვილი.**

საქარ. სსსრ სახ. კომ. საბჭოს საქმეთა
მმართველი— **პ.მეგრელიშვილი.**

**გამომცემელი:**
**საქ. ს. ს. რ. იუსტიციის**
**სახალხო კომისარიატი**

**პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.**
**სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.**

სტამბა გამ. „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4. მთავლ. № 2148. ტირაჟი 1.000 შეკვ. № 410.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება ხელის მოწერა

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახ. კომისარიატის ოფიციალურ ჟურნალ

# „საბჭოთა სამართალზე“

## 1929 წლისათვის

**ჟურნალი** გამოდის ახალი ფორმატით და შინაარსით

**ჟურნალში** თანამშრომლობენ საუკეთესო მეცნიერული და პრაქტიკული სამართლის მუშაკები

**ჟურნალი** გააშუქებს სასამართლო-უფლებრივ ხასიათს ყოველგვარ საკითხებს და დაეხმარება იუსტიციის, საბჭოთა და პროფესიონალური ხაზით მომუშავეებს.

გარდა თეორეტიულ და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის შემდეგი განყოფილებები: საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (ცირკულარები, დადგენილებანი, ინსტრუქციები, და კანონის განმარტებები)

**ფლიურ ხელის მომწერთ უფასოთ დაეგზავნებათ**

ტფ. სახ. უნივერსიტეტის ლექტორ **პ. მიქელაძის** წიგნი:

**„შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი“**

| | | |
|---|---|---|
| ჟურნალი ედირება | ერთი წლით . . . | 10 მან. |
| | ექვსი თვით . . . | 5 მან. და 50 კაპ. |
| | სამი თვით . . . | 3 მან. |

**სამთვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.**

**რედაქცია ტრიბუნალის 1 № 32**

361

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიიღება ხელის მოწერა „ახალგაზრდა კომუნისტზე“ 1929 წლისათვის

საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის კომიტეტის ორგანო

## გამოდის კვირაში სამჯერ

### გაზეთი ელირება

| | | |
|---|---|---|
| 1 თვით . . — მ. 30 კაპ. | 5 თვით . . 1 მ. 50 კაპ. | 9 თვით . . 2 მ. 70 კ. |
| 2 „ . . — „ 60 „ | 6 „ . . 1 „ 80 „ | 10 „ . . 3 „ — „ |
| 3 „ . . — „ 90 „ | 7 „ . . 2 „ 10 „ | 11 „ . . 3 „ 30 „ |
| 4 „ . . 1 „ 20 „ | 8 „ . . 2 „ 40 „ | 12 „ . . 3 „ 50 „ |

ყოველმა ახალგაზრდა მუშამ, გლეხმა და წითელარმიელმა, თითეულმა ქოხ-სამკითხველომ და კლუბმა უნდა გამოიწეროს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ერთად-ერთი გაზეთი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“-ს მთავარი კონტორა: რუსთაველის პროსპ., № 20.



## მიიღება ხელისმოწერა

სრულიად საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის საბჭოს ორკვირულ ჟურნალ

# „საბჭოთა აღმშენებლობა“-ზე

**„საბჭოთა აღმშენებლობა“** გაუწევს იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს, გააშუქებს კომისარიატების, მაზრაღმასკომების, თემსაბჭოების და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას. აღნუსხავს მათ მიღწევებს და ნაკლუვანებებს, გააშუქებს საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციასსაკითხებს, გამოეხმაურება ყოველგვარ საჭირბოროტო საქითხებს და საერთოდ დაეხმარება საბჭოთა ძირეული აპარატის გაუმჯობესებას.

**„საბჭოთა აღმშენებლობა“** გააშუქებს საბჭოების მუშაობას ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის, ადგილობრივი მეურნეობის, კულტურულ-განმანათლებელ, საბჭოთა საზოგადოებრივი ხელმძღვანელობის, რევოლიუციონურ კანონიერების დაცვისა და სხვა დარგებში.

**„საბჭოთა აღმშენებლობა“** ხელმძღვანელობას გაუწევს ძირეული საბჭოების სექციების მუშაობას, ხელს შეუწყობს მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმას საბჭოთა მუშაობაში, აქტიური მუშების, გლეხების და მოჯამაგირეების დაწინაურებას და დაეხმარება მათ კვალიფიკაციის გაუმჯობესებაში.

ჟურნალი სისტემატიურად გააცნობს თავის მკითხველებს მთავრობის დადგენილებებს, განკარგულებებს და სხვა ღონისძიებებს. ჟურნალში დათმობილი აქვს აგრეთვე ადგილი ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას.

**ჟურნალის გამოცემა დაიწყება 1929 წ. პირველი იანვრიდან.**

ჟურნალის ფორმატი იქნება 7X11, 48 გვერდი და დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე.

ფართო მასებისათვის ჟურნალის მიწოდების მიზნით ხელის მოწერის ფასი დაწესებულია:

**წლიურად — 4 მან., ექვსი თვით — 2 მან., სამი თვით — 1 მან., თითო ეკზემპლიარი — 20 კაპ.**

გარდა ამისა წლიურ ხელისმოწერლებს მიეცემათ უფასო პრემიად **ამხ. ფ. მახარაძის და ამხ. ი. ვარძიელის** სიტყვები წარმოთქმული საბჭოთა არჩევნებისათვის და გამოცემული ცაკის მიერ.

რედაქციის მისამართი: **ტფილისი სასახლე, ჟურნალ „საბჭოთა აღმშენებლობის“ რედაქცია.**

ტელეფონი № 1—37.

ჟურნალში თანაშრომლობენ ცენტრალური და ადგილობრივი, პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ დაწესებულებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები და თანამშრომლები.

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1928 წლის 1 იანვრიდან

გამოდის ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის

ორკვირეული ორგანო

# „საბჭოთა სამართალი“

**„საბჭოთა სამართალი“** ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი **პენიტენციარულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამ-ძებრო მილიციის მუშობას.**

ვარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე

შემდეგი განყოფილებები:

**საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.**

**ჟურნალში თანამშრომლობენ შემდეგი პირნი:**

(ანბანზე)

ალხოვი ა., ამაღლობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ენუქიძე ევდ., ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩეიშვილი ა., იუზბაშევი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. ძაძამიძე ივ. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.

ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

**სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.**

**რედაქციის და კანტორის მისამართი:** ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 13—68.